

2/4
1936

501

ს. ს. ს. რ. გ. ს. ს. რ. გ.



საქართველოს
სახელმწიფო-სამეცნიერო ინსტიტუტის

მოაზო

ВЕСТНИК СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА ГРУЗИИ
BULLETIN OF THE STATE AGRICULTURAL INSTITUTE OF GEORGIA

4

ს. ს. ს. რ. გ. ს. ს. რ. გ.

6 7 0 7 0 6 7 0 6 — 1 9 3 6

საქართველოს
სამეცნიერო-საგენერალო ინსტიტუტი
ა მ ა მ ხ ე

214
1936

№ 4



პ/მგ. რედაქტორი—პროფ. ა. ბუაჩიძე.
ლიტერატური—პროფ. ი. ლომიშვილი.
ტექ. რედაქტორი—პროფ. ქ. მოდებაძე.
კონსერვორი { აგრ. ვ. გოგიაშვილი.

გამომშვები

საქართველოს. სახ. სასოფლო-სამეურნეო იმსტიტუტის სტამბა-ლითოგრაფია, მარის ქ. № 35
შთაველიტის რწმუნებული № 10927.

ტიტანი 1000.



პრესტიჟული კვალი და განვითარება, ვიზუალური!



Ռ. Ե Օ Յ Բ Ո Յ Ո

სიცუკა მოწინავე კომისარებთა და კომისარებ ქალთა თათგირზე 1935 წ. 1 დეკემბერს

ამხანაგებო! ნება მოშეცით უწინარეს ყოვლისა მოგესალმოთ იმ მიღწევების გამო, რომლებიც მოიპოვეთ მოსაკლის აღების ფრონტზე. თქვენი მიღწევები მცირე როდია. თუ ჩვენში, მთელს საბჭოთა კავშირში საშუალოდ კომბაინის გამომუშავება ერთ წელს ერთი-ორად გადიდდა, ეს მცირე მიღწევა არ არის. ეს მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის პირობებში, სადაც ტექნიკურად ნაწილობი ადამიანები ჯერ ისევ ცოტანი გვყვანან. ჩვენს ქვეყანას ყოველთვის ახასიათებდა ტექნიკურად ნაწილობი კადრების ნაკლებობა, მეტადრე მიწათმოქმედების დარღვევი. კადრების ტექნიკური მომზადება მთელი ქვეყნის ფარგლებში — ეს ძალიან დიდი საქმეა. იგი ათეულ წლებს მოითხოვს. და თუ ჩვენ შედარებით მოკლე ვადებში მივაღწიეთ იმას, რომ გუშინდელი გლეხის ვაერიშვილებისა და ქალიშვილებისაგან შევქმნით საუცხოო კომბაინერები და კომბაინერი ქალები, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების ნორმებს ეჟარდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ტექნიკური კადრების გამოზრდის საქმე ბუმბერიაზელი ნაბიჯებით მიღის წინ. დიალ, ამხანაგებო, თქვენი წარმატებანი თვალსაჩინო და სერიოზულია, და თქვენ საფეხბით იმსახურებთ იმას, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მოგესალმონ (ტაზი).

ახლა კი ნება მოშეცით საქმის დედაარსტე გადავიდე.

ჩვენში ჩშირად მმბობენ, მარცვლეულის პრობლემა უკვე გადავწყოიტეთ. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, თუ მხედველობაში გვაქვს ახლანდელი პერიოდი. წელს ხუთნახევარ მილიარდ ფუთზე მეტ მარცვლეულს ვაგროვებთ. ეს სავსებით სამყოფია, რომ მოსახლეობა უხვად გამოვკერდოთ და კიდევ გადავდოთ საქმო მარაგი, რომელიც აუცილებელია ყოველ-



გვარი გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის. ეს, რა თქმა უნდა უნდა შემთხვევისათვის. ეს, რა თქმა უნდა უნდა შემთხვევისათვის ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ მარტო დღევანდელ დღეს ვერ დავჯერდებით. ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ ხვალინდელ დღეზეც, უახლოეს მომავალზე. ხოლო თუ საქმეს ხვალინდელი დღის თვალსაზრისით შევხედავთ, მიღწეული შედეგები ვერ დაგვაქმაყოფილებს. რამდენი მარცვლეული დაგვჭირდება ჩვენ უახლოეს მომავალში, ვთქვათ, სამი-ოთხი წლის შემდეგ? ჩვენ დაგვჭირდება არა ნაკლებ 7—8 მილიარდი ფუთი მარცვლეული. აი როგორ არის საქმე, ამხანაგებო. მაშასადამე, ჩვენ ახლავე უნდა მივიღოთ ზომები, რომ პურის მოყვანა ჩვენში წლითოწლობით მატულობდეს და რომ ამ ვადისათვის ჩვენ საესტი მომზადებული ვიქნეთ ამ უმნიშვნელოვანების ამოცანის შესასრულებლად. ძველ დროს, რევოლუციამდე, ჩვენს ქვეყანაში დაახლოვებით 4—5 მილიარდი ფუთი პური მოჰყავდათ წელიწადში. სამყოფი იყო თუ არა ეს პური—ეს სხვა საკოთხია. ყოველ შემთხვევაში, ყველას ეგონა, რომ სამყოფი იყო, რაღვან ყოველ წელს საზღვარგარეთ დაახლოვებით 400—500 მილიონი ფუთი მარცვლეული გაჰქონდათ. ასე იყო საქმე წარსულში. სხვანაირად არის საქმე ახლა, ჩვენს საბჭოთა პირობებში. მე უკვე ვთქვი, რომ ახლავე უნდა ვემზადოთ იმისათვის, რათა უახლოეს მომავალში, სამი-ოთხი წლის შემდეგ, პურის ყოველწლიური მოსავალი 7—8 მილიარდ ფუთამდე ვიყვანოთ. განსხვავება, როგორც ხდეავთ, მცირე არ არის. სად ოთხი ან ხუთი მილიარდი ფუთი და სად 7—8 მილიარდი ფუთი მარცვლეული.

საიდან გაჩნდა ასეთი განსხვავება? რით აიხსნება მარცვლეულის მოთხოვნილების ასეთი კოლოსალური ზრდა ჩვენს ქვეყანაში?

ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი ქვეყანა აღარ არის ის, რაც იყო ძველ, რევოლუციამდელ დროში.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ჩვენში უკანასკნელ წლებში მრეწველობა და ქალაქები, ძველ დროსთან შედარებით, სულ მცირე, ერთორიად გაიზარდნენ. იმდამად ჩვენში ქალაქები, ქალაქთა მცხოვრებლები, მრეწველობა და მრეწველობაში ჩაბმული მუშები სულ მცირე, ერთორიად მეტია, ვიღრე ძველ დროს იყო. ას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რამდენიმე მილიონი მშრომელი სოფელს მოვაცილეთ, ქალაქებში გადავიყვანეთ, მუშებად და მოსამსახურებად გავხადეთ და ისინი ახლა დანარჩენ მუშებთან ერთად წინ ეწევიან ჩვენს მრეწველობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წინათ სოფელთან დაკავშირებულ რამდენიმე

მილიონ შურომელს ჰური მოჰყავდა, ახლა მათ არა თუ არ მოჰყავთ. შემდეგ რი, არამედ, პირიქით, თვითონ საკიროებენ, რომ მათთვის სოფლიდან ჰური მოიტანონ, ხოლო ქალაქები ჩეენში გაიზრდება და ჰურის მოხმოვნილებაც იძარებს.

ეს არის მარცვლეულის მოთხოვნილების ზრდის პირველი მიზეზი.

შემდეგ ძეველ დროს ჩეენში ტექნიკური კულტურები ნაკლები იყო, ვიღრე დღეს არის. ჩეენ ახლა მოგვყავს ერთი-ორად მეტი ბაზა, ვიღრე ძეველ დროს იყო. რაც შეეხება სელს, ჭარხალსა და სხვა ტექნიკურ კულტურებს, ისინი ჩეენ გაცილებით უფრო მეტი მოგვყავს, ვიღრე ძეველ დროს მოჰყავდათ. რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ იმ ადამიანებს, რომელნიც ტექნიკურ კულტურებს შისდევენ, არ შეუძლიათ საქმიად მისდიონ ჰურის მოყვანას. მაშასადამე, უნდა გვქონდეს მარცვლეულის დიდი მარაგი იმ ადამიანებისათვის, რომლებ-საც ტექნიკური კულტურები მოჰყავთ, რათა შესაძლებლობა გვქონდეს უფროდაუფრო გავადიდოთ ტექნიკურ კულტურათა წარმოება, ბაზის, სელის, ჭარხლის, მზესუმზირას და სხვათა წარმოება.

ჩეენ დაგვჭირდება ტექნიკურ კულტურათა წარმოების უფროდაუფრო გადიდება, თუ გვინდა წინ წარმოით ჩეენი მსუბუქი მრეწველობა და ჩეენი კვების მრეწველობა.

აი მარცვლეულის მოთხოვნილების ზრდის შეორე მიზეზი.

შემდეგ. მე უკვე ვთქვე, რომ ძეველად ჩეენში 4—5 მილიარდი უკა-თი მარცვლეული მოჰყავდათ წელიწადში. მეფის მინისტრები ჩეეულებრივ მაშინ ამბობდენ: „თვითონ მოვიკლებთ ქამას, ჰურს კი გაეზიდავთ“. რა ხალხი იყო ეს, რომელიც საქმიად ვერ სქმდა? რა თქმა უნდა, არა მეფის მინისტრები. ნაკლებად მქამელი ხალხი—ეს იყო სოფლის 20—30 მილიონი დარიბი ხალხი, რომელიც მართლაც ცოტას სქმდა და ნახევ-რად მშეგრი ცხოვრობდა, რათა მეფის მინისტრებს საშუალება ჰქონდათ ჰური; საზღვარგარეთ გვეტანათ. ასე იყო ძეველად. ახლა ჩეენში სულ სხვა დროებაა. საბჭოთა მთავრობა ვერ შეიწყნარებს, რომ მოსახლეობას საქმელი აკლდეს. აი უკვე 2—3 წელიწადია, რაც დარიბი ხალხი ჩეენში აღარ არის. უმუშევრობა მოისპო, კამის სიმურე გაძერა და ჩეენ მტკიცებ დავადექით შეძლებულობის გზას. თქეენ იყითხავთ — რა იქნა 20—30 მილიონი დამშეული დარიბი ხალხორი? ისინი კოლმეურ-ნეობებში გადავიდნენ, იქ დამკიდრდნენ და წარმატებით აშენებენ თავის შეძლებულ ცხოვრებას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ

ჩენ ახლა შშროველ გლეხთა გამოსაკვებად გაცილებით შეტრანსფორმირდება, ვიდრე ძველ დროს იყო ხაჭირო, ვინაიდან გუშინდედა ღარიბებს, ხოლო ახლანდელ კოლმეურნეებს, რომლებიც კოლმეურნეობებში დამკვიდრდნენ, საქმით პური უნდა ჰქონდეთ, რომ თავისი შეძლებული ცხოვრება აშენონ. თქვენ იცით, რომ მათ პური აქვთ და უფრო მეტიც ექნებათ.

ასეთია ჩენს ქვეყანაში მარცვლეულის მოთხოვნილების კოლონალური ზრდის მესამე მიზეზი.

შემდეგ ჩენში ახლა ყველანი ამბობენ—შშრომელთა შატერიალური მდგომარეობა თვალისწინოდ გაუმჯობესდა, ცხოვრება გაუკეთესდა, უფრო სამური გახდათ. ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ ამას ის მოსდევს, რომ მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე ძველიც მრავლდებოდა. სიკედლიანობამ იყო, დაბადებულთა რიცხვმა იქატა და მოსახლეობის წმინდა მატება გაცილებით უფრო დიდი გამოიდის. ეს, რა თქმა უნდა, კარგი და ჩენ ამას მივესალმებით (მხიარული მოძრაობა დარჩაზში).

ამებად ჩენში მოსახლეობის წმინდა მატება ყოველ წელს დაახლოებით სამ მილიონ სულს უდრის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს ჩენ მთელი ფინეთის მოსახლეობის ოდენა ხალხი გვემატება (ხაერთო სიცილი).

ამას კი ის მოსდევს, რომ უფროდაუფრო მეტი ხალხი უნდა გამოვკვებოთ.

თ პურის მოთხოვნილების ზრდის კიდევ ერთი მიზეზი.

დაბოლოს, კიდევ ერთი მიზეზი. მე ვიღაპარა აღამიანებზე და მათ შროვ პურის მოთხოვნილების ზრდაზე. მაგრამ ხალხის კვება მარტო პურით არ განისაზღვრება. მას კიდევ ესაკირუება ხორცი, ცხიმები. ქალაქების ზრდა, ტექნიკურ კულტურათა ზრდა, მოსახლეობის საერთო ზრდა, შეძლებული ცხოვრება,—ყველაფერი ეს იწვევს ხორცის, ცხიმების მოთხოვნილების ზრდას. მაშასაღამე, თუცილებლად უნდა გვქონდეს კარგიც დაყენებული მეცხველეობა წვრილება და მსხვილება პირუტყვის დიდი რაოდენობით, რათა საშუალება გვქონდეს დავაკმართვილოთ მოსახლეობის შარდი მოთხოვნილება ხორცის პროცესტებზე. ყველაფერი ეს ნათელია. მაგრამ მეცხველეობის ზრდა წარმოუდგენელია, თუ ჩენ პირუტყვისათვის მარცვლეულის დიდი მარაგი არ გვექნე-



ბა. შეცხოველების ზრდისთვის უკილებელი პირობების შექმნა მარტინი გადასახლებული დღია მხოლოდ მარცვლეულის ისეთ მეურნეობას, რომელიც იზრდება და ფართოვდება.

ამ კიდევ ერთი შინეზი მარცვლეულის, მოთხოვნილების კოლოსალური ზოდისა ჩვენს ქვეყანაში.

ასეთია, ამხანაგბო, ის შინეზები, რომლებმაც ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე და რომლებმაც გვისახვენ გადაუდებელ მოსახლეობა—მარცვლეულის ყოველწლიური მოყვანა უახლოეს მომავალში 7—8 მილიარდ ფუთამდე ავიყვანოთ.

შეგვიძლიან თუ არა ამ მოცანის შესრულება?

დიალ, შეგვიძლიან. ამაში ეჭვს ვერ შევიტანთ.

რა არის საქირო იმისთვის, რომ ეს ამოცანა შევასრულოთ?

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საკიროა, რომ მეურნეობის გაბატონებულ ფორმად ჩვენს მიწათმოქმედებაში იყოს არა წერილი, არამედ მსხვილი მეურნეობა. რატომ სწორედ მსხვილი? იმიტომ, რომ მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შესწევს უნარი აითვისოს თანამედროვე ტექნიკა, მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შესწევს უნარი საქმიანდ გამოიყენოს თანამედროვე აგროტექნიკური ცოდნა, მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შესწევს უნარი სათანადოდ გამოიყენოს სასუქები. კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედების გაბატონებულ ფორმას ერთპიროვნული წერილი მეურნეობა წარმოადგენს, მსხვილი მეურნეობანი იქმნებიან მიწათმფლობელთა მცირე ჯგუფის გამდიდრებისა და გლეხთა უმრავლესობის გაჩანავების გზით. იქ გაჩანავებულ გლეხთა მიწები ჩვეულებრივ მდიდარ მიწათმფლობელთა ხელში გადადის, ხოლო თეოთონ გლეხები, შიმშილით რომ არ დაიხოცნენ, ამ მიწათმფლობელებთან მოქირავნებად დგებიან. ჩვენ ეს გზა არასწორ და გამანადგურებელ გზად მიგვაჩნია. ივი ჩვენთვის მოუღებელია. ამიტომ ჩვენ მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობათა შექმნის სხვა გზას დავადევთ. ჩვენ წერილ გლეხურ მეურნეობათა დიდ კალექტიურ მეურნეობებად ვაერთიანების გზას დავადევთ, რომლებიც მიწას კალექტიური შრომით ამუშავებენ და მსხვილი მეურნეობის ყველა სიკეთითა და შესძლებლობით სარგებლობენ. ეს არის კალმეურნეობათა გზა. წარმოადგენს თუ არა ჩვენთვის ახლა მსხვილი მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა ჩვენი მიწათმოქმედების გაბატონებულ ფორმას? დიალ, წარმოადგენს. კალმეურნეობებში ახლა ჩვენ გვყავს მოელი გლეხობის დახლოებით 90 პროც. მაშასადამე, მსხვილი მეურნეობა მიწათმოქმედებაში, საკოლმეურნეო მეურნეობა, როგორც გაბატონებული ფორმა,— ჩვენ უკვე გვაძეს.

მეორე. ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს, ჩვენ მსხვილმეურნეობებს გამოსადევი მიწა საკმაოდ ჰქონდეთ. აქვთ თუ არა ასეთი მიწა ჩვენს კოლმეურნეობებს? დიალ, აქვთ. თქვენ იცით, რომ მეფის, მემამულეებისა და კულაკების უკვე გადაეცათ კოლმეურნეობებს.

თქვენ იცით, რომ ეს მიწები უკვე საჭუდამოდ განპტკიცებულია კოლმეურნეობებზე. მაშისადამე, კოლმეურნეობებს საკმაოდ აქვთ გამოსადევი მიწები, რომ მარცვლეულის მოყვანა სრულად გაშოლონ.

მესამე. ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს საკმაოდ ჰქონდეთ ტექნიკა, ტრაქტორები, სასოფლო სამეურნეო მანქანები, კომბაინები. თვითონ გაეგებათ, რომ მარტო ხელით შრომის დროს შორს ვერ წახვალ. მაშისადამე, საჭიროა მდიდარი ტექნიკა იმისათვის, რომ კოლმეურნეობებს შეეძლოთ მარცვლეულის მოყვანის გაშლა. აქვთ თუ არა კოლმეურნეობებს ასეთი ტექნიკა? დიალ, აქვთ და რაც დრო გაივლის, მით უფრო მეტი ექნებათ მათ ეს ტექნიკა.

დასასრულ, ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს ჰყავდეთ ადამიანები, კადრები, რომელთაც შეუძლიათ ტექნიკის გამოყენება, რომელთაც ითვისეს ეს ტექნიკა და ისწავლეს მისი ღმორჩილება. ჰყავთ თუ არა კოლმეურნეობებს ასეთი ადამიანები, ასეთი კადრები? დიალ, ჰყავთ. მართალია, ისინი ჯერ ცოტანი არიან, მაგრამ მაინც არიან. ახლანდელი თაობირი, რომელსაც საუკეთესო კომბაინერები და კომბაინერი-ქალები ესწრებიან, და რომელიც წარმოადგენს კოლმეურნეობების კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა არმიის შხოლოდ მცირე ნაწილს,— დამამტკიცებელია იმისა, რომ ასეთი კადრები კოლმეურნეობებში უკვე გაჩნდნენ. ვართალია, ისინი, ეს კადრები, ჯერ კიდევ ცოტანი არიან, და ეს არის, ამანაგებო, ჩვენი მთავარი დაბრკოლება. მაგრამ საფუძველი არა გვაძეს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამ კადრების როოდენობა ჩენში გაიზრდება არა წლობითა და ოვეობით, არამედ დღეობითა და სათობით.

ამგვარად, გმოდის, რომ ჩვენ გვაქვს უკვე აუცილებელი პირობა იმისათვის, რათა უახლოეს მომავალში მივაწიოთ კოველწლიურად 7—8 მილიორდი ფუთი მარცვლეულის მოყვანას.

ო, რატომ ვფაქრობ, რომ უეჭვლად შეიძლება იმ გადაუდებელი ამოცანის შესრულება, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკე.

თავიდათავი ახლა ის არის, რომ დავაწევთ კადრებს, მოგამზადოთ კადრები, დაეცხმაროთ ჩამორჩენილებს ტექნიკის ათვისებაში, დღითიდე

გამოვხარდოთ ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ ტექნიკაზე
და წინ წასწიონ იგი. ეს არის ახლა თავიდათავი, ამხანაგებო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოექცეს კომბაინებისა და კომბაი-
ნერების. თქვენ იცით, რომ ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის
მეურნეობაში მოსავლის აღებაა. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და
მას დაცდა არ უყვარს. დროსე იოლებ—ჰორგებ, დაკვირვებ მოსავლის
აღებას—წაგებ. კომბაინის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი
გვეხმარება დროსე ავილოთ მოსავალი. ეს ფრიად დიდი და სერიოზუ-
ლი საქმეა, ამხანაგებო.

მაგრამ კომბაინის მნიშვნელობა მით არ განისაზღვრება. მისი მნიშვ-
ნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიდალი დანაკარგისაგან
გვიცას. თვითონ იცით, რომ მოსავლის აღება სათიბ-სამკელი მანქანით
(ლობოგრეიია) მარცვლეულის დიდ დანაკარგს იძლევა. ჯერ უნდა მო-
მკა, შემდეგ შეკრა მნებად, შემდეგ ზეინებად, შემდეგ მოსავალი სალეჭ
ზანქანებთან მიტანო,—ყველაფერი ეს დანაკარგი და დანაკარგია. ყვე-
ლა აღიარებს, რომ მოსავლის აღების ასეთი სისტემის დროს ჩვენ მო-
სავლის დახმარებით 20—25% გვეკარგება. კომბაინის უდიდესი მნიშვ-
ნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ეს დანაკარგი უმნიშვნელო მნი-
მუმამდე დაპყავს. საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ სათიბ-სამკელი მანქა-
ნით მოსავლის აღება, სხვა თანაბარ პირობებში, ჰექტარზე იძლევა ათი
ფუტით ნაკლებ მოსავალს, ვიდრე კომბაინით აღება. თუ ას მილიონ
ჰექტარ მარცვლეულის ნათესს ავიღებთ,—ხოლო ჩვენში, როგორც ვი-
ცით, იგი გაცილებით მეტია,—დანაკარგი სათიბ-სამკელი მანქანით აღ-
ების დროს მილიარდ ფუტ მარცვლეულს შეადგენს. ახლა სკადეთ მო-
სავლის აღება კომბაინით ამ 100 მილიონ ჰექტარზე; ამასთან მხედვე-
ლობაში იქნიეთ, რომ კომბაინი უხევიროდ როდი მუშაობს, — და
თქვენ მთელ მილიარდ ფუტ მარცვლეულს მოიგებთ. როგორც ხედავთ,
პატარა ციფრი არ არის.

ამ რამდენად დიდია კომბაინისა და კომბაინზე მომუშავე ადამიანთა
მნიშვნელობა.

ამ რატომ ვფიქრობ, რომ კომბაინის დანერგვა მიწათმოქმედებაში
და კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა მრავალრიცხვანი კადრების გა-
მოსრდა პირველხარისხოვან ამოცნას წარმოადგენს.

ამ რატომ მინდა სიტყვის დამთავრებისას გამოვთქვა სურვილი, რომ
ჩვენი კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა რიცხვი იზრდებოდეს არა და-
ობით, არამედ სათობით, რომ მათ ისწავლონ კომბაინის ტექნიკა, ასწავ-

ლონ თავის ამხანაგებს ეს საქმე და ბოლოს დაბოლოს ნამდვილობრივობაზე მარჯვებულნი გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

(მქუჩარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოფაციაში გადადის, ძლიერი „ვაშა“, შეძახილები აღგილებიდან: „გაუმარჯვოს საყვარელ სტალინს!“).

კიდევ ორიოდე სიტყვა, ამხანაგებო. ჩვენ აქ პრეზიდიუმში ჩუმად ვისაუბრეთ და ვცანით, რომ საჭიროა ამ თაობირის მონაწილეთა წარდგენა უმაღლეს ჯილდოზე, ორდენზე — კარგი მუშაობისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, ამხანაგებო, ეს საქმე უახლოეს დღეებში გავატაროთ.

(მქუჩარე, ხანგრძლივი ტაში, „ვაშას“ ძახილი, შეძახილები: „მადლობა ამხანაგ სტალინს!“).



କେବଳ ଏକ ମହିନାରେ କମ୍ପ୍ୟୁଟର କ୍ଲାସ୍‌ରେ ପାଇଁ ଆଜିମଧ୍ୟ କମ୍ପ୍ୟୁଟର କ୍ଲାସ୍‌ରେ ପାଇଁ ଆଜିମଧ୍ୟ



三 二〇六〇一

ლეინიურ-ცენტრის ნაციონალური პოლიტიკის გაგარჯვება

საბაზო და საბაზო საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წელი—ეს არის
ქართველი ხალხის ახალი ისტორიის შესანიშნავი ფურილები.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით საბჭოთა საქართველოს ხალხები მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებით და ძლევამოსილად აშენებენ სოციალიზმს.

I

ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა—ეს იყო დამონებულ ერთა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის, შეუბრალებელი ჩაგრძისა და ექსპლოატაციის პოლიტიკა.

რუსთის ცარიზმი, აწარმოებდა რა დამყრობის პოლიტიკას სამარეთოთ და აღმოსავლეთოთ, ონავრული კლანებით აცხრებოდა საქართველოს ხალხთა სხეულს. ცარიზმი ეყრდნობოდა ქართველ თავადებს, აზნაურებსა და მემამულეებს, ხელს უწყობდა მათ მასების ექსპლოატაციასა და ძარცვაში და იმით ცდალობდა განემტკიცებინა და შენარჩუნებინა თავისი ბატონობა საქართველოში. საქართველოს დამონებული გლეხობა არაერთხელ აჯანყებული მემამულებისა და მეფის თვითმპურობელობის ჩაგრძისა და ძალადობის წინააღმდეგ.

1812—1813 წელს გლეხები აჯანყდნენ კახეთში; 1841 წელს—გურიაში; 1857 წელს—სამეგრელოში; 1858 წელს—იმერეთში.

მეფის გენერალები, თავადები და მემამულეები გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს სისხლის მორევში ახრჩოდნენ.

„მეამბოხე სოფლები, —სწერდა საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი, —დავარბიეთ და გადავბუგეთ, ბალები და ვენახები გადავკიტი ძირიმდე, მოლალატენი მრავალი წლის შემდეგაც ვერ დაბრუნებენ პირვანდელ მდგომარეობას. უკიდურესი სილატავე მათი სასჯელი იქნება“.*

თვითმპურობელობის წინააღმდეგ საქართველოს შშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ტალღა ახალი სიძლიერით აბობოქტდა, როცა კლასობრივი ბრძოლის სცენაზე გამოვიდა საქართველოს და ამიერ-ევკახისის მუშათა კლასი.

* „Записки генерала Ермолова во время управления Грузией“, № 1868 год.



1902—1903 წლები იყო გლეხთა განუწყვეტილი მღვდლეარების, ფაქტურული
და მუშათა გაფიცვების წლები.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშვილი იძულებული იყო მეფის
სახელზე წარდგენილ „უძველესრდომილეს მოხსენებითს ბარათში“ 1907 წლს
აღიარებინა ის განსაკუთრებული შეუპოვრობა, რომლითაც საქართველოს
მმრომელი მასები იბრძოდნენ თავისი განთავისუფლებისათვის, თვითმმკურობე-
ლობის, მემამულებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

„ამ მხარეში ჩემი ჩამოსვლისას, — წერდა ვორონცოვ-დაშვილი, — ოჯოლუ-
ციურმა მოძრაობამ აქ, აღბათ, საერთო-საიმპერიო მოძრაობასთან დაკავშირე-
ბით, უკვე სახელმწიფო წყობილებისთვის საშიში მასშტაბი მიიღო. ქალაქ ტფი-
ლიში დაუყოვნებლივ გამოვაცადე სამხედრო წესები... ამავე დროს ტფილისის
გუბერნიის ნაწილს და მთელ ქუთაისის გუბერნიის მოდებული ჰქონდა სოფლის
მოსახლეობის მღელგარება, რომელსაც თან აპლდა მემამულეთა კარმიდამოების
დარბევა, გლეხთა მიერ ბევარის გადახდაზე უარისთვემა, თავის სოფლის ხელი-
სუფალთა არცნობა, კერძო მიწების ძალდატანებრი ხელში ჩაგდება, სახაზინო
და კერძო მფლობელთა ტყეების მასობრივად გაჩეხვა... ტფილიში, ბაკოში და
მხარის სხვა ქალაქებში თითქმის ყოველდღე ხდებოდა ყველა პროფესიის მუშე-
ბის გაფიცვები, შინამოსამსახურეთა ჩათვლით...“

„ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის საერთო გაფიცვის გავლენით ქუთაი-
სის გუბერნია ტფილისისაგან სავსებით მოწყვეტილი აღმოჩნდა. რკინიგზის ყველა
სადგური ამ გუბერნიის ფარგლებში ხელო იგდეს შეიარაღებულმა რევოლუციო-
ნერებმა. სურამის გვირაბი შექრული იყო ორთქლმავლებით, რომლებიც ორივე
მხრიდან შეუშვეს რათა, შეეჭრებინათ ჯარების გადაცვანა ტფილისიდან...“

„სულ ოდნავი წინააღმდევობის გაწევის დროს გლეხთა ბრძო არბევდა და
სწავლდა სოფლის სამხართველოებს მათი საქმებითურთ. სოფლებში ყველგან
იმართებოდა მიტინგები და მანიფესტაციები, სადაც ეწეოდნენ წოდებრივი
თანასწორობის, კაპიტალიზმის მოსპობისა და მართვაგამგეობის არსებული წესის
შეცვლის იდეათა აშერა პროცეგანდა... საქართველოს სოფლის მასების ამ
მოძრაობის წინააღმდევ კავკასიის აღმინისტრაცია დებულობდა სხვადასხვა რე-
პრესიულ ზომას. გურიაში, 1902 წლიდან დაწყებული, არაერთხელ გაიგზავნა
ჯარები, სოფლის საზოგადოებებს ეგზექუციებს უყვენებდნენ, აგიტატორებს პა-
რიტორებდნენ და მხარიდან ასახლებდნენ...“

ასე ლაპარაკობდა მეფის სერიოზულად შეშინებული სატრაპი საქართვე-
ლოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე.

თვით ისეთი სატრაპიც კი, როგორიც ვორონცოვ-დაშვილი იყო, იძულე-
ბული გახდა მეფის სახელზე გაგზავნილ ფრიად საიდუმლო მოხსენებითს ბარათ-
ში აღიარებინა ქართველი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის განსა-
კუთრებული სიმძიმე. იგი, აღბათ, ცდილობდა გიგამართლებინა თავისი-თავი
მეფის წინაშე და პასუხისმგებლობა საქართველოს რევოლუციური ამბებისათვის
დაცის წინამობრინა თავის წინამოადგილებისათვის საქართველოს და კავკასიის მმარ-
თველობის დარგში.



„ბატონიშვილის გაუქმება იმრერ-კავკასიისა და მცტადრე საქართველოს ფარგლებში, —სწორდა იყი, მოხდა მემამულებისათვის განსაკუთრებით ხელსა-ჭრელ და გლეხებისათვის არახელსაყრელ პირობებში. იმასთან... მან გააღიდა გლეხთა სააღილმამულო ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ, ბატონიშვილის დროს არსებულ ნორმაზე უფრო მეტად... სახაზინო ხარკით დასაბეგრ წყაროებს ეძებნ მართალი თუ მრუდე გზით, გლეხთა ნადელის ნაწილში მოშენდება თუ ათა ტყე, მაშინევ ტყეს სახაზინო ხარკის წყაროდ ხდია; თუ ნადელის მეორე ნაწილი დაითარა წყლით მდინაოს კალაპოტის შეცვლის დროს, იყი ხდება სახაზინო სათევზაო ხარკის წყაროდ... საქმე იქამდე მიდის, რომ მოსახლეთა საქუთარი ხელით თივის საკარმილამო მიწებზე ნახარებ კაკლის ხეებს სახაზინო სახარკო წყაროდ ხდიან.

გლეხები, მიწის იმ ფართობში, რომელიც ორჯერ აღემატებოდა კერძო მფლობელობის მიწებს მარტო ფულადს ხარქს კერძო მფლობელებზე ოცნებულ მეტს იხდიდნენ.“

გლეხების მშრომელი მასების ამ ექსპლოატაციას ემატებოდა აზნაურების, თავადების, მოხელეებისა და პოლიციის თვითნებობა.

სოფლის სასამართლოებში და სოფლის სამმართველოებში გამოფებული იყო მექანიზმებია და ძალადობა. ქართველი მემამულები მეფის პოლიციელებთან ერთად სცემდნენ, აწამებდნენ და დაუზოგავად ჰყელეფავდნენ მშრომელებს.

ურიცვე დამსჯელ ექსპედიციებსა და ეგზეკუციებს თან სლეედა მხეცობა და სისასტრიკე.

კოლონიზაციის ინტერესებისათვის, საქართველოში გაძლიერებით ასახლებდნენ გერმანელ კოლონისტებს, ანატოლიის მერძნებს, თურქეთის სომხებსა და რუს სექტანტებს.

4.670 ათასი მანეთის საერთო-საერთო ხარჯებიდან პოლიციის შესანახად იხარჯებოდა 57 პროცენტი, სახალხო განათლებაზე კი — მხოლოდ 4 პროცენტების საშუალებით ატარებდნენ რუსიურიაციის პოლიტიკას. სკოლები ცოტა იყო, ხოლო სწავლა არსებოւლ სკოლებში უაღრესად დაბალ დონეზე იღდა.

ცარიზმის ასეთი პოლიტიკის პირდაპირი შედეგები იყო წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობა მოსახლეობაში.

„ცარიზმი განზრას ნერგავდა განაპირა მხარეებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩავრას, რათა მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმა განაპირა მხარეების საუკეთესო კუთხებში განზრას დასახლდა კოლონიზატორული ელემენტები, რათა მკვიდრი მცხოვრები უარეს რაონებში შეედევნა და ეროვნული შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიშროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რათა მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი უოველგვარ ინიციატივას უხშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანებს. დამოლოს, ცარიზმი ჟელავდა განაპირა მხარეების ხალხის მასათა ყოველგვარ აქტივობას.“

(ხტალინი. „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რესეტში“. „პრავდა“ № 226, 10 ოქტომბერი, 1920 წელი).

მაგრამ იმ დროს, როცა მეფის თვითმშეყრობელობა ბლოკს ჰქონდა წარადგინული ნალურ ქართველ ბურუუაზისთონ, თავადებთან, აზნაურებთან და მემამულებებთან, რათა განემტკიცებინა თავისი ბატონობა დამონებულ ეროვნებათა მშრომელ ბასებზე, და ცდილობდა გაეღვივებინა ეროვნებათა შორის მტრობა, ამ დროს რუსეთისა და საქართველოს მუშათა კლასისა და შშრომელი მასების მოწინავე წარმომადგენლები ერთმანეთთან ამყარებდნენ თვითმშეყრობელობისა და კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის მედრიდი ინტერნაციონალურ კავშირს.

რუსეთის მოწინავე პროლეტარები მაურავდედ ესლობოდნენ მეფის თვითმშეყრობის წინააღმდეგ საქართველოს და კავკასიის მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას და მარას უქერდნენ შას.

საქართველოში 1905 წელს გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირდებით, რ. ს. დ. მ. 3. (ბოლშევიკების) მე-3 ყრილობამ შიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„დებულობს ას მხედველობაში:

1) რომ კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობდნენ იქ ჩეკი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2) რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში როგორც ქალაქიდ, ისე სოფლად, უკვე მიეიღა საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე, თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ;

3) რომ თვითმშეყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარსა და ორტილერიას გურაში და ამხადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად ცეცხლებები განადგურებას;

4) რომ კავკასიიში სახალხო აჯანყებაზე თვითმშეყრობელის გამარჯვებას, რასაც ადგილებს იქაური მოსახლეობის სხვადასხვა ტომობრივი შემადგენლობა, უაღრესად მცნო შედეგები ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელს რუსეთში,—

რ. ს.-დ მ. 3. მესამე ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მაურგავლე სალიმს უძღვნის კავკასიის გმირულ პროლეტარიატს და გლეხობას და აკადემიკ პარტიის ცენტრალურ და აღვილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ, რათა უფრო თოვესად გაავრცელონ ცნობები კავკასიის მდგომარეობის შესახებ ბროშურების, მიტინგების, შეჭათა კრებების, წრეებში საუბრებისა და სავა გზით, აგრეთვე იზისათვის, რომ ცროხშე დაქარიონ კავკასიის მათ განაკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“.

(III ყრილობის რეზოლუცია, გვ. 527).

ამავრებუნენ ას შერყეულ ტატა, მეფისაცგალ და მეფის გენერალები ქართველ თავადებთან და აზნაურებთან თანაშრომლობით, ქართველი შენშერებისა და ნაციონალისტები პარტიების გამცემლობის მეობებით, დაუნდობლად უსწორდებოდნენ საქართველოს შშრომელ მასებს, რევოლუციურ მუშებს, ცეცხლითა და მახეილით აქტობრინენ მათს გამოსვლებს. ქართველი ხალხის სუვერენიტეტის რევოლუციურ წარმომადგენელთა ძლიერით მოჰტინა მეფის მთავრობამ შორეული გზა საქართველოდნ ციმბირის დღე.

ასეთი იყო მეფის თვითმშეყრობელობის „ნაციონალური პოლიტიკა“.

რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველომ მენშევიკ-ნაციონალისტთა პატონობის თითქმის სამი წლის პერიოდი გაიღია.

მენშევიკურმა მშართველებმა საქართველოში არამც თუ არ მოიტანეს განთავისულება საქართველოს მშრომელ მასებს, არამც თუ ერ მიიღწიეს სა-ქართველოს სამეცნიერო და ნაციონალურ-კულტურულ აღორძინებას, არამედ პირიქით, მოშალეს ისედაც უძლური სამეცნიერო ცალკეობა, გამჭრენეს კულტურის ჯამსაღი ყლორტები, რომლებიც თვით ხალხში იფურჩქმებოდა, ღალატობდნენ ქართველ ხალხს და ჰყიდვენ მას დასავლეთის იმპერიალისტებზე, ხელს უშემობრენ საქართველოში მასების ჩაგრძას თავადებისა და აზნაურების, მემა-მულეთა და კულტურების მსრით. მენშევიკების ბატონობის დროს ქართველმა ხალხმა კელად მძიმე ტანჯვა განიკარა.

ლალადებდნენ რა „დემოკრატიულ თავისუფლებათა“ შესახებ, შენშევიყები აშკარად და უტითურად ლალატომდნენ ქართველი ხალხის ინტერესებს ბურჯუაზიისა და იმპერიალისტების სასარგებლოო.

„ვიცი, — ამბობდა მენქენევური მთავრობის მეთაური ნოე ქორდანია, — მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტთა მარტივე ვართ. ამიტომ აյ მე გადაჭრიოთ უნდა განვაკადოთ: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსაფლეთის ფანატიკოსებს“.

(დამთურებელი კრების 1-ლი სესიის სტენოგრამა,
1920 წ. 14 օანგარი, გვ. 5):

და მერწევიებს დასაცლებოს იმპერიალისტურები ერქინვათ, ვიღებრ შეზრმელი მასების რევოლუციური განთავისუფლება, რომელიც აღმოსაცლებოთან მოჰყოლა.

თავით გამცემლობას დასკელეთის იმპერიალისტებზე შეისცვიტბი ჰქონდნენ „დემოკრატიული“ ლაყბობით საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შესახებ.

საქართველოში გერმანიის საკუპაციო ჯარების ჩამოსულის გამო საქართველოს შეუცემული მთავრობა 1918 წლის 13 ივნისს თუშებოდა:

„საქართველოს მთავრობა აცნობებს შოსახლეობას, რომ ტფილისში ჩამოსული გერმანელთა ჯარები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მათს ამოცანას შეაღენს საქართველოს მთავრობასთან სრული თანხმობით და მისი შითითებით დაიცვან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებით“.

(გაზეთი „ბორბა“, 1918 წ. 13 ივნისი, № 92).

საქართველოს დამოუკიდებლობა წმინდა წყლის მოტყუებად იქცა, ნამდვილად გერმანიის ჯარების მოსვლა საქართველოში მოასწავებდა გერმანიის იმპერიალისტების მიერ საქართველოს ოკუპაციას და შის მოლიანად ხელში ჩაგდებას. „ეს, — როგორც ლენინი ამბობდა, — იყო გერმანელთა ზიტუტების კავშირი მერწევისურ მთავრობასთან ბოლშევიკ მოშათა და კლებთა წინააღმდეგ“.

გერმანიის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში, გერმანელები იძულებული გახდნენ დატოვებინათ საქართველო. მათი აღვილი იჩვლისის სა-აკადემიურ აომიაშ დარღვევა.

მენშევიკები თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ინგლისელი ოუზამტებმაც „მოწვეული“ ყოფილიყვნენ თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მათს ამოცანას შეაღენდა მთავრობასთან „სრული თანამდინთ“ და მისი „მითითებით“ დაეცათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები.

1918 წლის 22 დეკემბერს, საქართველოში ინგლისის სოუზაციონ ჯარების შემოყვანის გამო, საქართველოს მთავრობამ ინგლისის მისის თავმჯდომარეს პოლყოვნიერობის გაუგზავნა ნოტა, რომელსაც ხელს აწერდა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგევიარი:

1. „საქართველოს მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების შემოყვანა წესრიგის დასაცავად, ვინაიდან თვით მთავრობას მოეპოვება საქმაო ძალები ამ მიზნისათვის.

2. თუ ამ ჯარების შემოყვანა რამდე სხვა მიზანს ისახავს, საქართველოს მთავრობა გადაჭრით აქადებს, რომ ამ შემოყვანას არ შეიძლება აღგილი ქქონდეს, თუ საქართველოს მთავრობას თანხმობა არ იქნება“.

გეგევიარის ამ კალბი და ბურგოურული განცხადების პასუხად ინგლისის მისის თავმჯდომარე ჯორდანი მეორე დღესვე, 1918 წლის 23 დეკემბერს, სწერდა მენშევიკურ მთავრობას:

„ვმოქმედობ რა ბაქოში შეოფი მოქავშირეთა ჯარების სარდლის გენერალ ტრომინისაგან მიღებული ინსტრუქციების თანაბად, მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას გამომყოფ სადგომები ქვეითი ჯარის ერთი ბრიგადისათვის, არტილერიის ერთი ბრიგადისა და 1.800 ცენტისათვის, აგრეთვე შესაფერი შენობა შტაბისათვის..... მე მწამს, რომ ჩემი თხოვნა შესრულებული იქნება და ყოველგვარი დამარტინა გამეწევა მოქავშირე ჯარების შეპოსაციანად. ძალიან მადლობელი ვიქენები, თუ ხვალ გამომიგზავნით აკტომობილს და ოფიცირს, რომელიც მიჩნენებს თქვენს მიერ მოქავშირეთა ჯარებისათვის გამოყოფილ შენობებს“.

(ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფოლის, 1919 წ.).

ასე ელაპარაკებოდა ინგლისის სარდლობა საქართველოს მენშევიკურ „დამოუკიდებელ“ მთავრობას, ვინაიდან მან კარგად იკოდა, რომ გეგევიარის პროტესტი ინგლისის ჯარების შემოყვანის წინააღმდეგ განცხადებული იყო მხოლოდ საქართველოს მმრომელთა თვალის ასახვევად და მენშევიკური მთავრობა სიიბოვნებით დასთანმდებოდა ინგლისის სოუზაციონ არმიის შემოყვანას.

როგორც ვიცით, ეს ასეც იყო.

საქართველოს „დამოუკიდებელი“ მმართველები ნამდეილად აღმოჩნდნენ მოსკოვიდები მარიონეტები, რომლებსაც ინგლისის იმპერიალისტთა ავენტები როგორც სურდათ ისე აცეკვავებდნენ.

„პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის განაღებული სამეცნიერო-საიურიულო ბრძოლის პირობებში, — სწერდა მხანაგი სტალინი, — განაპირა მთავრებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსაყალი:

ან რუსეთთან ერთად, და მაშინ—განაპირა მთავრების შშრომელი მსების განთავისულება იმპერიალისტთა ჩაგვრისაგან;

ან ანტანტასთან ერთად, და მაშინ — აუცილებელი იმპერიალისტურობას
უდევი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს“.

(სტალინი. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნა-
ციონისტურ საკითხში რუსეთში. „პრავდა“ № 226,
10 ოქტომბერი 1920 წ.).

ქართული მენშევიზმი — საქართველოში თავისი ბატონობის პერიოდში —
ლოგიკურად ამთავრებდა მუშათა კლასისა და მურნელი მახვის მოღალა-
ტეობისა და გამცემლობის გრძელ გზას, რომელსაც იგი ჯერ კიდევ საბჭოთა
ხელისუფლებისათვის ბრძოლის ჩასაწევი წლებში დაადგა.

1918 წლის 26 აპრილს საქართველოსა და სრულიად რუსეთის მენშევიზ-
მის ერთერთი ლიდერი ირაკლი ჭერეთელი ამიერ-კავკასიის სეიმში ამბობდა:

„როცა რუსეთში იქმნებოდა ბოლშევიზმი და როცა იქ სახელმწიფოს სი-
ცოცხლის წინააღმდეგ სასიცდოლო ხელი იღიმირთა, ჩეკინ მთელი ძალონით,
რაც კი გაგვაჩნდა ვებრძოდით ბოლშევიზმს, ვინაიდნ ჩეკინ შევიგნეთ, რომ
რესის ერისა და რუსეთის სახელმწიფოსათვის ჩაცემული ლახვარი ეს არის
ლახვარი მთელი დემოკრატიისათვის. ჩეკინ იქ ვებრძოდით სახელმწიფოს მკალე-
ლებს და ერების მკალელებს და ისეთივე თავგანწირებით ვიბრძოლებთ აქაც
ერების მკვლელებთან“.

(ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 26 აპრილის
სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან. ამიერ-კავკა-
სიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუ-
მენტები და მასალები. გამ. ტფილისი, 1919 წ.).

ჭერეთლის ეს მაღალფარდოვანი ფრასები მოაწავებდნენ, რომ მენშევი-
კებს ბოლშევიკებთან რაიმე დააბლობას ურჩევნიათ ბლოკი აეთრიგარდიელებ-
თან, საბჭოთა ხელისუფლების დაუქინებელ მტრებთან.

მართლაც 1918 წლის 25 სექტემბერს ქ. ეკატერინენდარში ყუბანის შე-
რაზმული მთავრობისა და თეთრგვარდიელთა არმიების წარმომადგენელთა თათ-
ბირზე, რომელსაც გენერლები დენიკინი, ალექსეევი, რომანოვსკი, დრაგომი-
როვი და ლუკიომისკი დაესწრნენ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგა-
რეო საქმეთა მანისტრმა ე. გეგენეროვა გულაბილიად განაცხადა:

„ბოლშევიკებთან დამოკიდებულების საკითხზე შემიძლია განვაცხადო,
ბოლშევიკებთან ბრძოლა ჩვენს ფარგლებში დაუნდობელია. ჩვენს განვარგულე-
ბაში არსებული ყოველგვარი საშუალებით გააშობთ ბოლშევიზმს, როგორც
ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას
ემუქრება, და მე ვფიქრობ, რომ ამ მარივ ჩვენ უკვე გვაქვს მთელი რიგი და-
მამტკიცებელი საბუთები, რომლებიც თავის-თავად ლაპარაკობენ... ამასთან
ერთად ჩემს მოვალეობად მიმაჩინია მოგაონოთ, რომ არ უნდა დაივიწყოთ
ისიც, თუ რა სამსახური გაგიწიეთ თქვენ ბოლშევიზმითან ბრძოლაში...“ „ამა
ჩვენ თქვენთან ერთად ვურტყამთ ერთ ჭერტილში, რომელიც ამ მომენტში
მოაწავებს მტრულ ძალას როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვისაც...“

(ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პო-
ლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფი-
ლისი, 1919 წ.).





ქართველი მენშევიკები ლაქონბას ეწეოდნენ დასავლეთის იმპერიალისტურა წინაშე, უკავშირდებოდნენ თეორგვარდიელებს რქომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ, ხელს უწყობდნენ საქართველოში მასების ჩაგრას ბურჟუაზიის, თავადების, აზნაურების და მემამულეთა მარით, რითაც ამავრებდნენ კაპიტალიზმს, ხოლო საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობის შმრობელ მასებს მძიმე სატანჯველს და ექსპლოატაციას ორგუნებდნენ.

„ეჭვს გარეშე, — ამბობდა ნოე ეორდანია, — რომ ყოველგვარი სახელმწიფო ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე ემანუელება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით ვერ დააღწევს თავს საქართველოს სახელმწიფოც. ამის თავის დაღწევა — წმინდა უტოპია და ჩვენ მას ოდნავადაც არ აყვებით“.

(6. ეორდანია. „ორი წლის მანძილზე“. მოხსენებანი და სიტყვები, გვ. 121).

და ქართველი მენშევიკები ერთგულად ემანუელებოდნენ ბურჟუაზიის ინტერესებს.

სოციალიზმის შესახებ ლაპარაკი ფუჭი ლაყბობა იყო მშრომელი მასების მოსატყუებლად.

„ოქენ ვგონიათ, — ამბობდა ნოე ეორდანია, — რომ რაკი მთავრობა სოციალისტურია, მან სოციალიზმი უნდა განახორციელოს. ეს — ბოლშევიკების შეხედულებაა... ჩვენ კი სხვანაირად ვფიქრობთ. ჩვენ ვამბობთ: როცა სოციალიზმი განხორციელდება სხვა ქვეყნებში, მაშინ იგი ჩვენშიაც განხორციელდება“.

(სიტყვა საქართველოს პარლამენტში 1918 წლის 16 ივნისს).

1920 წლის შემოდგომისათვას საქართველოში სამეურნეო-ეკონომიკურმა კრიზისმა უკიდურეს საზღვაოს მიაღწია. მარაგი, რომელიც საქართველოში ყოფილი მექანის არმიის საინტენდანტო სამმართველოსგან დარჩა, შეკამა. ფაბრიკებისა და ქართველის უმრავლესობა არ მუშაობდა. რკინიგზის ტრანსპორტი საესებით მოიშალა. საქართველოს სოფელი გამარტახებას და გალატაკებას განიცდიდა. მენშევიკური მთავრობის მეთაური ნოე ეორდანია იძულებული იყო ალეარებინა:

„რამდენიმე წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიკურად ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მიუდივართ კატასტროფისაკენ... მაგრამ ახლა ეს ჩვენი აზრი უკვე გამართლდა, ახლა ყოველი ჩვენთაგანი მთელი სიმწვავით განიცდის თავის თავზე მწარე სინამდვილეს. ჩვენ უკვე მიეცით კატასტროფამდე“.

(სიტყვა ეკონომიკურ თათბირზე. გაზეთი „ბორბა“ 16 ეკომბერი 1920 წ. № 235).

მაშისათვალი, ამ დროისათვის საბოლოოდ შეიქმა ის უდიდესი მარაგი, რომელიც ტფილისში რუსეთის ყოფილი არმიის საინტენდანტო სამმართველომ დასტრიცა:

შრომის მინისტრის მარაგილე ერადე 1920 წელს საქართველოს რეინიგზელთა ყრილობაზე ამბობდა:

„საქართველოს მუშათა კლასი ამეამად მძიმე და მწვავე ეკონომიკურ კრიზის განიცდის. მისმა სილარიბემ და გაპირებებამ მიაღწია უკიდურეს საზღვაოს, რომლის შემდეგ უნდა მოველოდეთ ჩვენი კლასის ფიზიკური გადაშენების სწრაფ

და ძლიერ პროცესს. ჩვენი საზოგადოების არც ერთი დემოკრატული კლასი ან ჯგუფი არ იმყოფება ისეთ გამოუყალ მდგომარეობაში, როგორმაც ქალაქის მუშები აღმოჩნდნენ” (პროფ. მოძრაობის არქივი № 3, ხაქმე № 280).

ასე აჯამებდა ბატონი ერაძე მენშევიკური პოლიტიკის შედეგებს საქართველოში.

საქართველოს მშრომელი მასები მენშევიკთა ამ გამცემლურ პოლიტიკას აჯანყებებით უპასუხებდნენ.

1918—1919—1920 წლებში, ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საქართველოში რამდენჯერმე ასეირთდა აჯანყებათა ტალღა მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ. ჯანყდებოდნენ გურიისა და სამეგრელოს გლეხები, ჯანყდებოდნენ გორის, დუშეთის, ლაგოდებისა და სხვა ასონების, ქუთაისისა და ლეჩაუმის მაზრების გლეხები, ჯანყდებოდნენ აფხაზეთის გლეხები. 1920 წელს აჯანყდნენ სამარეთ-ოსციის მშრომელი მასები. გაფიცები მოედო ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, ქათურისა და სხვა ქილავებს მუშათა ძირითად მასას.

ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა მენშევიკური მთავრობა საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ გამოსკლაბა.

ნოე ქორდანია შემდეგნაირად ცდილობდა გაემართლებინა შშრომელი მასების რევოლუციურ გამოსკლაბა წინააღმდეგ გამცემლური, სისხლისმღვრელი ბრძოლა.

„თუმცა თქვენ არ უნდა გაგვითქვებოდათ გლეხთა აჯანყებანი ჩვენს წინააღმდეგ,— ამბობდა ნოე ქორდანია, — მაგრამ ჩვენ იმდენად დავივიწყეთ მარქსიზმი და ავყვეთ ესერულ დომინალს, რომ დღემდე ბევრი ჩვენგანი ამ აჯანყებულებს რევოლუციონერებად სთვლის და უბალისოლ თანამდება მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებას. დროა დავუბრუნდეთ მარქს და მტკიცედ ვიდგინ რევოლუციის სადარაჯოხე გლეხები რეაქციის წინააღმდეგ“.

(ნ. ქორდანია. „ორი წლის მანძილზე“, გვ. 119).

ეფარებოდნენ რა მაღალ ფრაზებს, ახდენდნენ რა მარქსიზმის ფალსიფიკაციას, მენშევიები ინტერენტულ — თეთრგარდიული კონტრრევოლუციის დროშის ქვეშ უსწორდებოდნენ რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს.

„აბლა ღამეა. ყველგან ცეცხლი მოსჩანს, — იწერდა თავის დღიურში მენშევიკი დამსჯელი ვ. ჯულელი, „სახალხო“ გვარდიის ყოფილი უფროსი, როცა იგი გლეხთა აჯანყებების ჩაქრობას ხელმძღვანელობდა, — ეს აჯანყებულთა საბლები იწვის, ყველგან ჩვენს გარშემო იწვის სოთა სოფლები... მე დამშვიდებული გულით და წმინდა სინიდისით ვეყურებ ცეცხლის ფერებსა და ბოლს“.

(ჯულელი. „მძიმე ჯვარი“).

ასეთი იყო მენშევიკთა „ნაციონალური პოლიტიკა“.

მენშევიკური ბატონობის პერიოდში საქართველოში ჩამოვიდნენ კ. კაუცკი, მაკდონალდი, სნოუდენი, ვანდერველდე და მეორე ინტერნაციონალის სხვა ბელადები. მენშევიების თარეშისა და გაბრწინას, მის მოღალატეობას იმპერიალიზმის სასარგებლოდ, მშრომელთა მასების ჩიგერის ისინი თვალმაქურად „სოციალისტურ სამოთხეს“ უწოდებოდნენ. მაგრამ მეორე ინტერნაციონალის ბელადთა ამ მყვირალა ფრაზებს არ შეეძლოთ დაეწალათ საქართველოს და საფრ-

თაშორისო მენშევიზმის სამარცხეინო დაცუმა და გაკოტრება საქართველოს ფედერაციული მოცდილების მიხედვით.

ქართველი მენშევიკები — ქართველი ხალხის ყველაზე გათახსიერებული მოღალატენი და გამცემლებია. მათ მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რესეტს და დაშნავებთან და მუსავატელებთან ერთად ამიერ-კავკასია გადააქციეს უცხოელთა ინტერვენციისა და ბურქუაზიულ-ოეთრეგარდიული კონტრრევოლუციის პლატარმად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მენშევიკები ასულდგმულებდნენ და ჩაზმავდნენ აზნაურების, თავადების, სამღვდელოებისა და ბურქუაზიის რეაქციურ ძალებს საქართველოს მეშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მენშევიკები ატარებდნენ მეცურ-ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას და ამიერ-კავკასიის ხალხებს ერთმანეთს უსისინებდნენ. მათ მოაწყეს სისხლისმღვრელი ლაშქრობა საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ; ოსების, აფხაზების, სომხებისა და აჭარლების წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკები მუსავატელებთან და დაშნავებთან ერთად იყვნენ რევოლუციურ ჯარისკაცთა შამქორის ხოცვა-ჟღვეტის ორგანიზატორები. მათ მოღალატურად დახვრიტეს ტფილისის მეშათა მიტინგი ალექსანდრეს ბაღში. მათ დაშნავებთან ერთად მოაწყეს ქართველ-სომებთა სისხლის მღვრელი ძმათა ომი.

მენშევიკები გამცემლებისადმი უდიდესი სიძულვილით არის აღსაფხე საქართველოს შშრომელთა გული.

დღეს მენშევიკო უბაზრუ ნაშითების ხვედრი ის არის, რომ იწამწალონ ემიგრაციაში, დასავლეთის იმპერიალისტთა აგენტების ეზოებსა, დერევნებში და უკანა კარებთან.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა რუსეთის პროლეტარიატის და მუშატ-გლეხური წითელი არმიის დაპირებით დაამარ მენშევიკთა ბატონობა, დამყარა საბჭოთა ხელისუფლება და ლენინ-სტალინის დროშით დაადგა ფართო გზას სოციალისტური მმენებლობის გამარჯვებისაკენ.

III

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და ნაციონალურ-კულტურულ შეწებლობის საქმეში. ეს წარმატებანი წარმოადგენენ ბოლშევიკების პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მომუვა საქართველოს სამეურნეო და კულტურული შეწებლობის სწრაფუ ზრდა.

რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონიდან, „რუსეთზე კიდევ უფრო მეტად გლეხური ქვეყნიდან“ (ლენინი), საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად.

მაშინ, როცა მრეველობის დაბანდებანი პირველი ხუთწლედის მანძილზე საერთოდ საბჭოთა კაშირში, მთელი აღდგენითი პერიოდის დაბანდებებთან შედარებით, 50%- პროცენტს შეადგინდა, საქართველოში იგი უდრიდა 934 პრო-

ცინტს. კაპიტალურ დაბანდებათა მატება 1934 წელს მთელ საბჭოთა კაფშირში უდრიდა 19,4 პროცენტს, საქართველოში — 32 პროცენტს. 1936 წელს საბჭოთა კაფშირში მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა მატება შეადგენს 17,7 პროცენტს, ხოლო საქართველოში — 34,8 პროცენტს.

მაშინ, როცა ელექტრონენერგიის გამომუშავებამ 1935 წელს 1913 წელთან შედარებით მთელს საბჭოთა კაფშირში იმატა 1.331 პროცენტით, საქართველოში იმავე დროს იმატა 2,259 პროცენტით.

მაშინ, როცა საბჭოთა კაფშირის მთელი მრეწველობის საერთო პროცენტით 1935 წელს 1913 წელთან შედარებით შეადგენდა 642 პროცენტს, საქართველოში იგი უდრიდა 1.908 პროცენტს.

საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ 1935 წელს იმატა 473 მილიონ მანეთამდე, ხოლო 1936 წელს იგი მიაღწიეს 600 მილიონ მანეთა.

პირველი ბუთწლედის მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობის კპიტალური დაბანდებანი შეადგენდა 700 მილიონ მანეთს, ხოლო მარტი 1935 წელს დაბანდებულ იქნა 401 მილიონი მანეთი. 1936 წლის გეგმა ითვალისწინებს 616 მილიონი მანეთის კაპიტალურ დაბანდებას სახალხო მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიცი. სრულიად ახალი დარგები. მრეწველობის ხელისა წონა საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში გადიდდა 74,9 პროცენტიდე.

საქართველოს სამრეწველო-სამეურნეო განერიარებისათვის იქმნება მძღვრი ენერგეტიკული ბაზა. საქართველოს ელექტროსადყურთა სიმძლავრემ 9.5 წლის დამლევისათვის მიაღწია 105 ათას კილოვატს, ხოლო 1936 წელს იგი ავა 162 ათას კილოვატამდე, ნაცვლად 8 ათასი კილოვატისა 1913 წელს.

საქართველოს მთის სწრაფ მდინარეთა მდიდარი ჰიდრო-ენერგეტიკული რესურსები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა ასე ფართოდ გამოყენებული.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა ტექნიკურად რეკონსტრუირებულია. საბჭოთა ხელისუფლებამ მარგანეცის მრეწველობაში უკვე დაბანდა 45 მილიონი მანეთი, ხოლო 1936 წელს დაბანდება კიდევ 17 მილიონი მანეთი. შარშან ამოღებულ იქნა 1.180 ათასი ტონა მარგანეცი.

ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე ქ. ჯუღალში (ზესტაფონი) აგებულია ფერმობრანეცის მსხვილი ქარხანა.

ტყიბულის ქვანაბშირის ძევლი მაღაროები რეკონსტრუირებულია. საბჭოთა ხელისუფლებამ აგვი ტყვარჩელის ქვანაბშირის მაღაროები.

ბათომში აგებულია დიდი ნაეთსაბჭელი ქარხნები, რომლებიც გადაამუშავებენ 3 მილიონ ტონა ნედლ ნავთობს წელიწადში. დიდი შუშაობა სწარმოებს ნავთის საბაზოების გამოსაკვლევად საქართველოს შირაქის ველებზე.

საბჭოთა საქართველოს ჭიათი მდიდარია მრავალი სხვადასხვანირი მიწალური ნედლეულით. შექმნილია და ფართოდ ვითარდება სამთამაღნო მრეწველობა. საქართველოს ჭიათი სიმდიდრე დაყენებულია სოციალისტური მშე-

ნებლობის სამსახურში. მოწყობილია გუშმბრინის დამუშავება ნავთის შეწყვილობის მოსამარაგებლად. სწარმოებს ბარიტის, ანდეზიტის, ლითოგრაფიული ქვის, ღია ტოლმიტის, მარმალილის დამუშავება. 1925—36 წ. შევუდექით დარიშვანის, მალიბდენის სამრეწველო დამუშავებას. 1936 წელს იწყება ოზოტ-ტუკის დიდი კომბინატის მშენებლობა ქუთაისში.

შექმნილია მძლავრი მსუბუქი და კვების მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 2.155 ათასი მანეთიდან 1923—1924 წელს ავიდა 87.557 ათას მანეთამდე 1935 წელს, ანუ გადიდა 40-ჯერ.

კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 9 მილიონი მანეთიდან 1928 წელს გადიდა 71 მილიონ მანეთამდე 1935 წელს. იმსთან მოელი მრეწველობის 90 პროცენტი მსადაცება უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს იგებულ ქარატებშია და ფაბრიკებში.

საქართველოს სატევო და ხისდამუშავებელ მრეწველობაში პირველი ხელწლების მანძილზე დაბანდებულ იქნა 23 მილიონი მანეთი, ხოლო მეორე ხელწლების პრტო 3 წლის გამავლობაში დაბანდება 41 მილიონი მანეთი. ზევრიდში ზენდება ენგურის ქაღალდის მძლავრი კომბინატი, რომლის წლიური ნაკოდიერება იქნება 24 ათასი ტონა კულტურული ხარისხის ქაღალდი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მოელი ხნის მანძილზე საქართველოში აგებული და მთლიანად რეკონსტრუირებულია 117 სულ სხვადასხვა სამჩრეწველო სეწარმი, რომელთა ხევლითი წონა საქართველოს მრეწველობის ძირითად ფონდებში შეადგენს 96.7 პროცენტს.

ვითარდება საქართველოს სარკინიგზო, წელისა, საავტომობილო და საეკიციო ტრანსპორტი: დაგებულია 200 კილომეტრი რკინისგზის ახალი ხაზი, ელექტროოთიკირებულია 183 კილომეტრი რკინისგზის მაგისტრალი. ზევი-ზღვის ნაბირზე—ოზავიჩირები შენდება ახალი ნავთსადგური. გაუვანილია 4.462 კილომეტრი გზატემპილი და გაუმჯობესებული გზები. 2.590 კილომეტრზე გაქიმული ას საავტომობილო ხაზი, რომლებიც რაიონულ ცენტრებს აერთებენ რკინისგზების სადგურებთან და ერთმანეთთან იკავშირებენ ცალკეულ საქალაქო პუნქტებს. 1935 წელს 8 საავიაციო ხაზით დაფრინავდნენ საბჭოთა სამარიო ფლოტის თეოთმეტრინაცები.

საქართველოს მოელი ამ დღი სამჩრეწველო მშენებლობაში განხანიერდა ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიალიზაციისა და მოწინავე რესპუბლიკების დონეზე მათი აუკანის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა.

გაზრდილი მუშათა ქლასი, საქართველოს ბოლშევეკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, უფლება შექმნილი მრეწველობის მოწინავე ტექნიკას, სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობისა და მუშაობის სტაბილურ შეთოდთა გამოყენების საფუძველზე აღიდებს შრომის ნაკოდიერებას და წარმატებით წლიანად და გადავარტებით ასრულებს პარტიისა და მთავრობის დავალებას.

უდიდესია აგრეთვე საბჭოთა საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოციალისტური რეკომისტრუქტურის დარგში.

ლენინისა და ამხანავ სტალინის პირდაპირი მითითებებით ფართოდ უცნაურების გითარდა საირიგაციო სამშაოები. საბჭოთა ხელისუფლებამ მოწყვა ას ათასზე მეტი ჰექტარი.

საუკუნობით ხელუხლებელი იყვნენ კოლხიდის დაბლობის კაობიანი მიწები და ავთვისებიან მაღარიას აერცელებდნენ, მათლიდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოქმიდა ხელი კოლხიდის ქაობთა ამოშრობას. კოლხიდის ამოშრობის სამუშაოებში უკვე დაბანდულია 45 მილიონი მანეთი, უკვე ამოშრობილია 16.837 ჰექტარი, რომელთა ნაწილს ვიყენებთ ციტრულებისა და ჩაის პლანტაციების გასაშენებლად.

ნათესთა საერთო ფართობი საქართველოში 15 წლის მანძილზე გადიდა 738 ათასი ჰექტარიდან 957 ათას ჰექტარამდე.

საქართველოს მომშევიყები უდიდეს მუშაობას ეწევიან ძეირფასი და ტექნიკური კულტურების განვითარების საქმში. ჩაის პლანტაციების მთელი ფართობი რევოლუციამდე შეადგენდა 894 ჰექტარს. საქართველოს ბოლშევიკებმა გააჩარეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისათვის ჩაის მზრივ და ჩაის პლანტაციათა ფართობი 1935 წელს აიყვანეს 34 ათას ჰექტარამდე. უკანასკნელი სამი წლის განმეოლობაში ჩაის პლანტაციების მოსაელინობა გაირკეცდა. 1935 წელს მოქრეფილ იქნა 12,5 მილიონ კილოგრამზე შეტი შწვანე ჩაის ფოთოლი. საქართველოს ჩაის მრეწველობა უკვე ახლა უშვებს ისეთ ჩაის, რომელიც თავისი ხარისხის ცეილონისას არ ჩამოუვარდება.

ზემდეგში ცნობილმა გერმანელმა ფიზიოლოგმა კლებსმა (1903 წელს, 1913 წლ.) ამ საკითხის შესწავლას სხვა მიმართულება მისცა. მისი აზრით საყვაეოდე კვირტების ჩასახვის გამომწვევი მთავარი მიზეზი უჯრედის წევნში ნახშირწყლების დაგროვებაა; მაგრამ იმავე ღრუს მცნარის მიერ შეფიცისებული არაორგანული ნივთიერება და მათ შორის კი უმთავრესად აზოტი, დიდ როლს უნდა ასრულებდეს კვირტების ჩასახვის მომზრტება. კლებსმს შეხედულებით, — თუ ხეხილის უჯრედში აღვილი აქვს ნახშირწყლების დაგროვებას, შედეგად ვალებთ საყვაეოდე კვირტების განვითარებას და, პირიქით, თუ სჭარბობს მართლები, და მათ შორის უმთავრესად აზოტის შენაერთები, იმ შემთხვევაში ადგილი აქვს უნაყოფნას და ძლიერ ვეგეტატურ ზრდას. საკითხის ამნარი ვაშუქება, თავის თავად ცხადია, კლებსის თეორიის ასხვავებს პირველ თეორიისაგან იმით, რომ კლების არა ცალ-ცალკე სახის ნივთიერებათა აბსოლუტურ რაოდენობას აწერდა როლს აღნიშნულ მოვლენაში, არამედ ზემოაღნიშნულ ნივთიერებათა რელატურ რაოდენობას.

ამრიგად ჩამოყალიბდა „ნახშირწყლებ-მინერალური მარილების თეორია“, რომელსაც ვალ. პოენიკე გაუკეთა პოულარიზაცია და მისი წინადაღებით კლებისის კანონს ეწოდა „ნივთიერებათა ფიზიოლოგიური წონას-წორობის კანონი“. ვ. პოენიკეს აზრით იდეალური მდგომარეობა გაშინ არის მოცუმული საყვაეოდე კვირტების ჩასახვისათვის, როდესაც ხის ორგანიზმი მტკიცდება ნივთიერებათა ფიზიოლოგიური წონასწორობა. კლებისის თეორიაზე ავებული პოენიკეს ტრაქტატი უნდა ჩაითვალოს გარევეულ წინსელათ იმდენად რამდენათაც საკითხის გაშუქებაში ნახშირწყლების როლს ხაზი აქვს გასმული. მაგრამ პრობლემის ასე ზოგადად და სქემატურად გაშუქება მეცნიერული თვალსაზრისით სრულად არ იყო საკმარისი იმდენად, რამდენადაც ვ. პოენიკეს მიერ არ იყო გარევეული აღნიშნულ ნივთიერებათა ბუნება და არ სჩანდა, თუ რომელი სახის ნივთიერებათა შეფარდება რომელ მოვლენას იწვევდა. რაც შეეხება თეოთ თეორიის ძირითად დებულებას, „ნივთიერებათა წონასწორობის კანონს“, რასკვირველია მრულებელია იმიტომ, რომ კვების პროცესი არ შეიძლება განხილული იყოს სტატიურ მდგომარეობაში. ამ საკითხის შესახებ ქვეყით დასკნაში ხაზგასმით იქნება აღნიშნული.

კლებშის პიპორეტური დებულებით ლრმად დაინტერსცავებულის ფონილოგთა სკოლის წარმომადგენლობმა, როგორც თავში ესთეტიკ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხის უჯრედის წევნში ერთი მხრივ აზორებან ნიეთიერებას და მეორეს მხრივ ნაბშირწყლების მარაგს—ლილი გავლენა უნდა ქონდეს საყვავილე კვირების ჩასახეს ინტენსივობაზე. კრაუშმა და კრეიბელშა 1916 წ. ამ დებულებას საფუძველი მაზინ ჩაუყარეს, როდესაც მათ ჩატარებს ცდები ტომატები. მათ ცდის მიზნად დაისახეს ხის უჯრედის წევნში ზემოაღნიშულ ორ ნივთიერებათა ჯვარის ხელოვნური ღონისძიებებით ზრდა. აზორების მარაგის ჩეგულაცია სწარმოებდა აღვალიდ შემათვისებელ აზორებან სასუქების მიწოდებით, ხოლო ნაბშირწყლების უფრო მარტივობას ხელი ზეუწყვეს სინათლის ინტენსიური მიქმედების რეგულაციით. ცდების შედეგად მიღებული იყო 4 მეტიონ განსხვავებული შემთხვევა:

1. ნახშირწყლებსა და აზოტოვებ ნივთიერებათა განსაკუთრებით მაღალი შეფარდების ოდენობა დაპირისპირებულია სუსტ ვეგეტატურ ზრდასთან; აზოტი მოცემულია მინიმუმი, რის გამოც ვეგეტატური ზრდა შენელებულია ნააშირწყლების უხვი წარმოშობით, და ამით დასჭლვებულია მოსავლიანობა.

2. ნახშირწყლებ-აზოტოვან ნივთიერებათა შედარებით მაღალი შეფარდება დაპირისპირებულია დიდ მოსავლიანობასთან და ნორჩალურ ზრდასთან; აქ მოცემულია აზოტის ზომიერად მიწოდების შემთხვევა, მაგრამ შეფარდებულ ნივთიერებათა დიდი რაოდენობა მცნობის უჯრედის წვერის გროვდება სათავარიგო გარეგათ.

4. ნაბშირწყლება-აზოტოვან ნივთიერებათა შეფარდების გამსაკუთრებით დაბალი ოცნება დაპირისპირებულია სუსტ ვეგეტაციურ ზრდასთან. ამ შემთხვევაში მცირე ჩოლდენბით აზოტის მიწოდება კი არ არის მიზეზი სუსტი ვეგეტაციური ზრდისა და მოუსავლითობისა, არამედ ნაბშირწყლების სიმკიო.

კრატესი და კრეიბელი ზემოთმოყვანილ ცდების შედეგებზე გვაძლევენ ნაპ-შირწყლებ-აზოტოვან ნივთიერებათა ურთიერთობის ოფირიას, რაც შემდეგში გახდა მცენერიართა ცდების მიხნათ; მაგრამ სანკუროფე კვირტო განვითარების, კრატესის და კრეიბელის, ოფირია იმდენად მარტივია სახავდა მოვლენის ასანას, რომ სინამდგალეში არ შეიძლება მოცემული ყოფილიყო უჯრე-დის წვენში ასეთი მარტივი დინამიურობა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდე-ბოდა პრატეტიკაში ზოგიერთი მოვლენების ოფირიასთან შეუსაბამობით. პოტ-ტერის და ფილიპესის უკანასნელი ნაშრომებიდან აშკარად სჩანს ზემოაღნი-შენული თეორიის სისუსტე. ქიმიური კვლევაების მასალა იძლევა უბრონებულ მონაცემებს. პოტტერის და ფილიპესის ნაშრომთა კრიტიკის თვალსაჩინისთ უნდა ითქვას, რომ მათ მეტ აღებული საანალიზ მასალა არ იყო დოფერენცირებული, ე. ი. საანალიზ მასალა აღებული იყო ხის ქსოვილიდან განურჩევლად იმისა, თუ ხის რომელ ნაწილს ეკუთვნოდა მასალა. ცნობილია, რომ ხის ორგანიზმში ხდება ნივთიერებათა შეტაც ართული ცვალებადობა და თვით იმ აღვილზე, სა-დაც უნდა წარმოიშვას საყვავილე კვირტი, ნივთიერებათა ურთიერთობა შეიძ-ლება სულ სხვა იყოს, ვიდრე ხის კვირტის სხვა ნაწილებში.



ამ მხრივ, ალნიშნულ სკოთბის სფეროში, მცტად სინტერესო წვლილი გამოიყენება და მას განვითარება (1920 წ. საცდელ სადგურ *Columbia in Missouri*). იგი საანალიზო ნიმუშებს იღებდა ვაშლის ხიდან 16/III, 13/V, 26/VI, 2/IХ, 19/XI და 24/I და მასალას იკვლევდა იმისღმამისადევით, თუ ხის რომელ ნაწილს ეყოფვნოდა კვირტები. ამის მიხედვით იგი არჩევდა 3 ჯგუფს.

1. ნაყოფ მომცემ სანაყოფე ტოტებს.
 2. საყავილე კვირტების ჩაშახავ ტოტებს.
 3. სტრილ ტოტებს.

ანალიზების შედეგად მიღებული შასალიდან სჩანს, რომ აზოტის რაოდენობა 26/VI-ის ნიმუშში გაცილებით მეტი იყო ნაყოფიან ტოტების კვირტებში, ვიდრე საყვავილე კეიირტ ჩამსახავ სტერილ ნიმუშში. უკანასკნელი ორი ნიმუში ურთიერთ მიმართ ძლიერ არ გასწვავდებოდნ აზოტის შარაგას მხრივი; ასევე, ფოსფორის რაოდენობაც მეტი იყო პირველ ნიმუშში, ვიდრე ორ უკანასკნელში. მაგრამ ფოსფორი მაინც მეტი იყო საყვავილე ნიმუშში, ვიდრე სტერილში, ამისთანავე სურათს იძლევა K.-ში; რაც შექრების რაოდენობას, — ორივე საბის შექრები როგორც ინკერსიული ისე არა ინკერსიული, თანაბარი რაოდენობით იყო მოუმჯული ყველა ნიმუშებში.

მაგრამ საცულისსმო იყო ერთი მოვლენა, სახელდობრ ის, რომ სახამებლის რაოდენობა გაცილებით მეტი იყო დაგროვილი საყვაელე კვირტებში ჩატანაზე ნიმუშში, იმ დროს, როდესაც სხვა ნიმუშებში მაოლოდ სახამებლის მინიჭები იყო აღმოჩენილი. ის. ქევეთ მოყვანილი ცხრილი, სადაც ქიმიური ანალიზების შედეგები მიღებულია ვაშლის სხვადასხვა ჯიშე აღბულ ნიმუშებიდან საყვაელე კვირტების ჩასახვის რამდენიმე დღით აღრე. რიცხვები მოცემულია მარათ ხევთიერებაზე გადაწყვარიშებით.

ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣ ଦ୍ୱାରା ବସ୍ତୁରେଣ୍ଟରୀତିରେ	ଜୀବିତରେ ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣ	ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ		ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ		ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ପରିମାଣରେ	
		ବ୍ୟକ୍ତିଗତ ବ୍ୟକ୍ତିଗତ	ବ୍ୟକ୍ତିଗତ ବ୍ୟକ୍ତିଗତ	ବ୍ୟକ୍ତିଗତ ବ୍ୟକ୍ତିଗତ	ବ୍ୟକ୍ତିଗତ ବ୍ୟକ୍ତିଗତ	ବ୍ୟକ୍ତିଗତ ବ୍ୟକ୍ତିଗତ	ବ୍ୟକ୍ତିଗତ ବ୍ୟକ୍ତିଗତ
ସାହରତା ରାଜ୍ୟରେଣ୍ଡର ..	1,56	1,108	0,974	0,620	0,802	0,658	0,687
ଉତ୍ତରପ୍ରଦେଶ .. .	0,213	0,229	0,246	0,176	0,262	0,146	0,216
ପ୍ରାଦୂର୍ଯ୍ୟରେ .. .	7,72	0,81	0,88	0,66	0,72	0,46	0,51
ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ ଶାଖାରେ ..	1,87	1,19	1,69	1,604	1,35	0,66	0,61
ଶାଖାରେ ସାହରତା ରାଜ୍ୟରେ ..	1,87	1,11	1,69	1,14	1,35	0,66	0,99
ସାହରତାରେ .. .	କ୍ଷେତ୍ରରେ	କ୍ଷେତ୍ରରେ	କ୍ଷେତ୍ରରେ	3,16	2,16	କ୍ଷେତ୍ରରେ	କ୍ଷେତ୍ରରେ
ପରିମାଣରେ ବସ୍ତୁରେଣ୍ଟରୀତିରେ ..	22,26	25,80	20,89	23,72	18,96	28,93	25,00
ନାରୀରେଣ୍ଟରୀତିରେ ବସ୍ତୁରେଣ୍ଟରୀତିରେ ..	24,49	26,99	22,58	28,02	22,47	22,59	25,99

1. ზემოდმოყვანილ მონაცემებიდან აშკარად სჩანს, რომ შექრების თარიღი დღინძა თითქმის თანაბარია ყველა ნიმუშებზე, თუ სხვაობას 1,14 პროც. და 0,63 პროც. ზორის დიდ განსხვავებათ არ ჩატვრით; მხოლოდ კვირტების ჩამსახველ ნიმუშზე მოცემული სახამებლის დიდი რაოდენობა პირველ შეხვდვისას ბადებს ერთგვარ ეცვს; მაგრამ თუ წარმოიდგენთ სახამებლის მყარ მდგრადებას უჯრედზე, რომლის მოხმარებაც, ზაქრია გარდაქმნის შემდეგ, ქოვილის შენების დროს ხდება, ცალი გახდება მისი მცირე როლი კვირტების ჩასახვაში.

ზემოაღნიშნული საკითხის ბუნდოვანობის გაშუქების მიზნით ჰატტერშა და ფილიპშა 1930 წ. აირჩიეს სსვა გზა. 26 ნაკვეთიდან 30—35 წლ. მსხმოიარე ვაშლის ხიდან (ჯიში ბალცუნი) იღნისის დამდევს და ავგისტოს დამდევს შათ აიღს; თვითეულ ობიექტიდან 250 კვირტი და ჩატარებული მასალის ანალიზი იძლევა მდევრებზე. გაზაფხულზე მეტად ზუსტად დათვლილი იყო ჩასახული კვირტების რაოდენობა იმ მიზნით, რომ თვითეული ქიმიური ანალიზი დაკავშირებული ყოფილიყო პრაქტიკულ მონაცემებთან. ცდები ჩატარებული იყო იდეალური სიზუსტით ისე, რომ მათ მიერ მიღებულ მასალებს საკითხი ზედმიწვენით უნდა გაეშუქებინა. მაგრამ მათ მიერ მიღებული ცდების შედეგები ურთიერთ საწინააღმდეგო მასალას იძლევიან. როგორც, ნაგვანი, ნაგვანი ზედეგების ზრდა ყოველფერის არ არის დაპირდაპირებული საყვავილე კვირტების ჩასახვის ინტესიონასთან, და პირიქით, კარბი აზოტის შემთხვევაში ადგილი აქვს უც საყვავილე კვირტების ჩასახვას.

პირველი შეხვდებით იმ დასკვნამდე მიღებულ მონაცემებთან, რომ ნაპშირწყლებაზოროვან ნივთიერებათა შეფარდების თეორია და მთელ რიგ მკლევართა მიერ მიღებული ცდების შედეგები წინააღმდეგობას იძლევიან, რის გამოც ან კლებსის, კრიუსის და კრეიბელის თეორიები უნდა მივიჩნიოთ როგორც შეცდომა, ან უნდა ვიგულისმოთ, რომ უჯრედში წრარმოებს, რომელიმ მოვლენის ისეთი რთული კომპლიკაცია, რომელიც ჩვენთვის ჯერაც უცნობია და მიუწოდებული, და რის შედეგადაც ვიღებთ ასეთ წინააღმდეგობას. მეორეს შერიც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ კლების თეორიის საფუძველზე აგებული პრაქტიკული ლონისძიებები როგორც მაგ. შემოსერვა, ფოთლების შეობელება და სხ. იძლევიან შეტად საგულისმო პრაქტიკულ შედეგებს.

წარმოვიდგინოთ, რომ აზოტის მარაგი არის კვირტების ჩასახვის გამაღიზიანებელი მიზეზი. აზოტი სანაყოფე ტოტებში მოცემულია ცილების სახით, რომლებსაც მყარ მდგომარეობაზი, ისევე, როგორც სახამებელს, არ შეუძლიათ უშუალო გავლენა იქნიონ კვირტების ჩასახვაში; ან არა და უნდა წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა ის მომენტები, რომლებიც კვირტების ჩასახვას ხელს უწყობენ, ხელსაყრელი უნდა იყოს ცილების, ე. ი. უჯრედში აზოტის დაგროვებისათვის. ამნაირ მოვლენას ჩვენ სინაბდევილებში კვრაფტით ვერ ავხსნით, რის გამოც ასეთი კორელაციის, როგორც ფეტრის არსებობის აუცილებლობა, ვერ მივიღეთ.

თუ ჩვენ აღნიშნული თეორიების ირგვლივ ნათესავს გადავხედავთ, აშკარად, ხაზგასმით, აღნიშნება ის გარემოება, რომ ქიმიური კვლევაძიების შედეგები, პრაქტიკული შედეგები და კლებსის ჰიპოტეტური თეორიები ისეთ დიდ



წინაადმდევობაში არ დგანან ერთიმეორესთან, როგორც ეს თითქოს შეკრიტული მოყვითალი მასალებიდან გამომდინარებს, არამედ ურთიერთ მიმართ სჭირდებათ შესლუდვა და, რაც მთავარია, საჭიროა გათვალისწინება თვით უჯრედში წარმოებული პროცესების ჩრული დინამიურობისა.

წარმოებული ერთ წუთს პირობით, რომ უჯრედში ცვალებადობს მარტო ნახშირწყლების და არა აზოტის ოდენობა ან და შებრუნებით.

მაშინ ერთ შემთხვევაში ვიღებთ ნახშირწყლება-აზოტოვან ნივთიერებათა შეფარდების შემცირებას და შედეგად — ვიგეტატურ ზრდას. მეორე შემთხვევაში, აზოტნაბმირწყლებ ნივთიერებათა შეფარდების შემცირების შედეგად, — მოსავლიანობას და შენელებულ ვეგეტატურ ზრდას.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც იცვლება არა ნახშირწყლების, არამედ მხოლოდ აზოტის ოდენობა, მაშინ აზოტის ოდენობითი ზრდა უჯრედის წვენში იწვევს გარკვეულ ოპტიმუმამდე ნაყოფიერების ზრდას (ანუ საყვავილე კვირტების ჩასახვას).

მხოლოდ შემდეგ, ოპტიმუმის ზევით, აზოტის ოდენობითი ზრდა აუკრებებს საყვავილე კვირტების ჩასახვას. აქედან გამოვვავს ის დასკვნა, რომ ნახშირწყლების ერთი რომელიმე გარკვეული ოდენობა, აზოტის გარკვეულ ოპტიმუმამდე ზრდასთან ერთად, უნდა ჩაითვალოს საყვავილე კვირტების ჩასახვის მიზეზად, ხოლო ნახშირწყლების ოდენობის ზრდა სცვლის აზოტის კორელატურ ოპტიმუმს.

ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ აზალგაზრდა ხე მხოლოდ ვეგეტატურად იზრდება და იმ დრომდე არ იჩენს სანაყოფე კვირტების განვითარების ანუ ჩასახვის მიღრეკილებას, ვიდრე არ შეიქმნება ნივთიერებათა ისეთი ურთიერთობა ხის უჯრედის წვენში, რომელიც ხელს შეუწყობს სანაყოფე კვირტების ჩასახვას.

ყოველივე ზემონათქვამიდან აშეარად სჩანს, რომ ხის განვითარების სხვადასხვა ფაზებში და კების სხვადასხვა პირობებში, აზოტნაბმირწყლების კორელატური ოპტიმუმი შეიცვლება, რის გამოც ყოველ ცალკე შემთხვევაში ხეხილის მოსავლიანობის დაჩქარების, მოსავლიანობის ხარისხის გაუმჯობესების და მეწლეულობის თავიდან აცილების მიზნით ანგარიში უნდა გაეწიოს ამ მოვლენას და ისე მიმიართოს აგროტექნიკური ღონისძიება ხეხილის მიმართ, რომ სურვილებისამებრ შეიცვალოს ხის უჯრედის წვენში ნახშირწყლებაზოტის კორელატური ოპტიმუმი.

მაგ., მოსავლიანობაში პერიოდულობის (მეწლეულობის) თავიდან აცილების მიზნით, უხვად მსხმოიარე ხეს კვირტების ჩასახვის პერიოდში, უმეტესად იღნისში (ეს დამოკიდებულია კულტურაზე და თვით ჯიშზე, თუ როდის ისბამს ჩვეულებრივ საყვავილე კვირტებს), უნდა მიეცეს კარბად აზოტის სასუქი. ძლიერად მოზარდ ხეს კი აზოტის სასუქი სულ არ უნდა მიეცეს.

უხვად მსხმოიარე და სუსტი ვეგეტატური ზრდის მქონე ხეს აზოტი ჭარბად უნდა მიეცეს მოსავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აზოტი ეძლევა ხეს ნაყოფის გამონასკვის რის კვირის შემდეგ.



არსებობს მთელი რიგი სხვა ლონისძიებები, რომელიც საჭიროდღუდ
მოქმედებენ ხის უჯრედში წვენის კონცერტრაციის და აზოტნახშირწყლების კო-
რელაციურ ოპტიმუმშე; აღსანიშნავია მხოლოდ, რომ უჯრედის წვენში აუკი-
ლებლივ კიდევ უნდა არსებობდეს სხვა ნივთიერებათა მაგ., ფოსფორის, კალი-
უმის და სხ. გარკვეული ურთიერთობა, რომელიც აგრეთვე მაიშვნელოვან გა-
ლენას უნდა იძლენდნენ ყვავილობის და მოსავლიანობის რაოდენობაზე და ხა-
რისხშე; მაგრამ ჯერ-ჯერობით მეცნიერებას ამ საკითხზე ისეთი გარკვეული არა-
ფერი უთქვაშს, როგორც აზოტნახშირწყლების ურთიერთობაზე მოგვცა.

სანაყოფე კვირტების ჩასახვისა და განვითარების თეორიის დეტალური
გაცნობა, მსურველს შეუძლიან ფილიპსის, კობელის და ჩანდნელის ნაშრომები-
დან. განსაკუთრებით დაჯამებული ლიტერატურული წყარო აღნიშნულ საკითხზე
კობელს მოკავება თავის კაბიტალურ ნაშრომში, „მეხილეობის საფუძვლები“.

მუცელავილის წევის ანგარიშის გეთოდი

۳۰۶۱۳۱۳۰.

წევის ანგარიში არის გამოყენებითი მექანიკის ერთი დარგი, რომელიც სწავლობს მატარებლის მძღრაობის კანონებს.

წევის ონგარიშის საშუალებით განისაზღვრებიან: გამწევის წევის ძალა, გამწევის წონა, გატარებლის წონა, სიჩქარე, გარბენის დრო და მოძრაობის წინააღმდეგობან.

წევის ძალა, ცხადია, დამოკიდებულია: ძრავის სიმძლავრეზე, გადაცემათ
რიცხვზე სიჩქარეთა ყუთში და უკანასკნელ გადაცემაზე. სიჩქარე კი დამოკიდე-
ბულია დამუხტრუქების საშუალებაზე, ვინაიდან დაუზვებელია ისეთი სიჩქარის
განვითარება, რომლის დროსაც შეუძლებელი იქნება მატარებლის გამარტება
წინასწარ განსაზღვრულ მონაკვეთზე. მაშასაღამე, წევის ანგარიშში უნდა გაირ-
ჩეს ისეთი საკითხებიც, როგორიცა:

ძრავის დამახასიათებლის განასაზღვრა, სიჩქარეთა ყუთში გადაცემათა რიცხვის შერჩევა, უკანასკნელ გადაცემაში გადაცემათა რიცხვის შერჩევა და დამუხრუჭების პირობების განასაზღვრა.

1) გამჭევის გეგმარების დროს, როდესაც შერჩეული უნდა იქნეს გამჭევის ძირითადი მექანიზმები იმ ანგარიშით, რომ მან შესძლოს მოცემულ სიჩქარეების აუზითარება მუკამით საზაო პირობებში.

2) როდესაც გვინდა შეგარჩიოთ მოცემულ საექსპლოატაციო პირობების-თვის შესაფერი გამწევი, ან, თუ გვაქვს გამწევი, — გამოვიანგარიშოთ დატვირთვა, სიჩქარეები, გარებენის დრო, დასაშევები ქანობები და სხ.

პირველ შემთხვევაში გაქვს წევის ანგარიში გუგმარებისათვის და მეორეში — საკუსლოარაკით წევის ანგარიში.

თუ შევებებით წევის ანგარიშების ისტორიის, როგორც ცალკე სამეცნიერო დისკიპლინას, უნდა აღინიშვნოს მისი სიახალეაზღავე. მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში პროფ. ი. გ. ლომინოს თვითი საკუთარი ცდების და სხვა მეცნიერების მიერ მიღებულ შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა ორთქლმაფლის წავის ანგარიშის მეთოდი.

რაც შეეხება ავტომობილის წევის ანგარიშებს, ისინი ჩამოყალიბდენ ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, პირველად რიდლერის და ბეკერის, ხოლო საბოლოოდ პროფ. ჩიდაკვიფის, გიტისის და ზიმელიონის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ საავტომაბილო ლიტერატურაში დღემდებული მაქსიმოვება არც ერთი ნაშრომი, რომელშიც იყოს მთლიანად მოცემული საექსპლოატაციო წევის ანგარიში. ყველა ნაშრომებში მთავარი ყურადღება ეძღვის ანგარიშებს გეგმარების მიზნებისათვის.

რაც შეეხება მოტომავლებს, მათი წევის ანგარიშის მეთოდები დღემდებული არ არის ჩამოყალიბებული. რა თქმა უნდა, მოტომავლის წევის ანგარიშს ბეკრი რამ საერთო აქცის ორთქლმავლის და იგტომობილის წევის ანგარიშთან, მაგრამ მათი პირდაპირი მიუყება მოტომავლზე არ შეიძლება, ვინაიდან ის ორთქლმავლისაგან განსხვავდება ძრავით და ტრანსმისით, იგტომობილისაგან კი წამყვანი ნაწილებით (ходовая часть) და გზის ნაგებობით.

ამ შერივ ყველაზე საინტერესო ნაშრომები მოგვცეს ნევესკიმ და ფლოროვმა. (инж. Невеский. Лесовозные железные дороги. 1934 г. Проф. Флоров. Механическая тяга. 1935 г.).

სხვა ავტორებს აქ არ შევეხებით, ვინაიდან უმცესესობა საკითხს ეხება ზერელეთ, გამომჟავას ელემენტარული ფორმები და არაუკარი ღირსშესაძიშნავი მათში არ არის.

უნდა ითქვას, რომ ძრავის ეფექტური სიმძლავრე, კარბურატორის განსაზღვრული რეგულიაციის და ღრმულების სარქენლს გამოსაზღვრული მდგრადი რეაბის დროს, არის ფუნქცია ძრავის ბრუნვათა რიცხვის $N_e = f(n)$. ამ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, გამოხატულს გრაფიკულად, ეწოდება ძრავის დამახასიათებელი. ძრავის ბრუნვათა რიცხვის ცვალებადობა დამოკიდებულია დატეინტვის ცვალებადობაზე.

მაშასადამე, ყოველი თვეითმოძრავი ურმის სიმძლავრე და სიჩქარე (ზრუნვათა რიცხვი) პირდაპირ დამოკიდებულებაშია იმ წინააღმდეგობებთან, რომლის დაძლევაც უხდება ურეშს. წინააღმდეგობები კი ცვალებადობენ, ვინაიდან ცვალებადია გზის პროფილი, (ქანონები, მოხელეობები და სხვა). ამრიგად, იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად გამოსაღევია ესა თუ ის მოტომავალი ამა თუ იმ პროფილზე, ან როგორი პროფილი უნდა შეუჩინოთ მოტომავალს, თუ მოცემული გვაქვს საექსპლოატაციო პირობები, არ შეიძლება ანგარიში გაწარმოვოთ ერთ სიმძლავრეზე და ერთ სიჩქარეზე. წევის ანგარიშს საფუძვლად უნდა დაედგას ძრავის დამახასიათებელი.

გამარტივებული ანგარიშები, სადაც სიჩქარე და სიმძლავრე მიღებულია მუდმივად (უცველესად), ეერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემენ სწორ პასუბს მთელ რიგ დამულ საკითხებზე.

და ნევესკის ნაშრომის ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის სიმძლავრეს და სიჩქარეს იხილავს როგორც მუდმივს. გარდა ამისა, ნევესკი არ ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა მოტომავლის აჩქარება და დამუშავებება.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის თანაბეჭდ, ნევესკის მიხედვით ჩატარებული წევის ანგარიშები ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემენ ზუსტ და საბოლოო პასუბს. ის შეიძლება გამოყენებული იქნას წინასწარ და მიახლოვებითი ანგარიშისათვის.

ფლოროვის ნაშრომი ამ შერივ მეტად საინტერესოა; ის ანგარიშს საფუძვლად უდებს ძრავის დამახასიათებელს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წევის

ანგარიშები აქ ემსახურებიან გეგმარების შინების. ფლორტვი ამობს: „Учитывая довольно ограниченную потребность в мотовозах для рельсового транспорта и наличие большого количества моторов, выпускаемых автотракторной промышленностью, наши заводы берут готовые двигатели и соответственно их характеристикам, а также намечаемым ездовым качествам машин, устанавливают конструктивные формы передаточных механизмов и размеры шасси в целом.

Именно в такой постановке разрешаются излагаемые вопросы тягового расчета специального лесотранспортного мотовоза. Основными данными для расчета принимаются характеристика двигателя, сопротивление дороги и максимальная скорость движения. Определению подлежат вес машины, размеры колес, передаточные числа и соответствующие им скорости" (გვ. 379).

ფლორტვი ანგარიშის დროს მზღველობაში არ იღებს მოძრაობის წინა-ოლდეგობას, გამოწევულს მოსახვევებით, რომელიც უსათუოდ უნდა იყოს გა-თვალისწინებული. არ ეხება აგრეთვე დამუშაუების პირობებსაც.

მოსახვევები შატარებლის მოძრაობის დროს იწვევენ ძალიან დიდ წინა-ოლ-დეგობებს და ამიტომ მათი ანგარიშში არ შეუვანა უსათუოდ გამოიწვევს დიდ შეცდომებს.

ამრიგად, ლიტერატურაში დღემდე არ მოისოდება არც ერთი ნაშრომი, რომელშიაც ჩამოყალიბებული იყოს მოტომავლის საექსპლოატაციო წევის ანგარიში:

ამ ნაშრომის მიზანია, ლიტერატურაში არსებული მისალების და ზოგიერთ საკუთარ მოსაზრებების საფუძველზე, მკითხველს მიეაწოდო მოტომავლის სა-ექსპლოატაციო წევის ანგარიში.

მოტომავლის წევის ბალანსი


თუ მოტომავლის ძრავის დამახა-
სიათებელი გამოიხატება ისე, როგორც
ეს ნაჩვენებია ნახ. 1-ზე, ცხადია, ძრავის
ეფექტური სიმძლავრე N_r (მის სხვადა-
სხვა ბრუნვათა რიცხვის დროს) მთლია-
ნად მოტომავლის და ტეირთის გადა-
ადგილებაზე არ იხარჯება, კინაიდან სიმ-
ძლავრის ნაწილი შთაინთქება ტრანს-
მისიაში.

მოტომატარებლის გადასადგილებ-
ლად დარჩება სიმძლავრე:

$$Na = N_r - Nr, \dots \quad (1)$$

რომელსაც უწოდებთ მოტომავლის თვლებთან მიუვანილ სიმძლავრეს.

ტრანსმისიაში დანაკარგი N_r ზეაღვენს ჯამს ყველა იმ სიმძლავრეების, რომლებიც იხარჯებიან ხასუნებ, ძრავის მქნევარიდან მოტომავლის თვლებამდე ყველა საკისურებელი, კეილანებში და სახსრებში.



სიმძლავრების შეფარდება $\frac{Na}{Ne}$ გვაძლევს კოეფიციენტს, რომელიც გვანვენებს ძრავიდან თვლებამდე მექანიკურ გადაცემის სრულმწილობას და ეწოდება ტრანსმისის მექანიკური მარგი ქმედების კოეფიციენტი.


$$\eta_m = \frac{Na}{Ne} \cdot \dots \dots \quad (2)$$

ტრანსმისის მექანიკური მარგი ქმედების კოფიციენტის სიღილე დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ტრანსმისის ნაწილების დამუშავების ხარისხზე, მათი აწყობის სიზუსტეზე, დაზეთვის სიუხვეზე და ნაწილების გაცვეთილობაზე. η_m ახალ მანქანში ნაკლებია, მისი კონსტრუქციულობა მატულობს ნაწილების მიმუშავებით (მუშაობის პროცესში მოძრვებით) და ისევ იწყებს კლებას, როდე საკუთრებულია გადავა გაცვეთაში.

წინა განტოლების თანახმად შევვიძლია დავწეროთ:

$$Na = \eta_m Ne \cdot \dots \dots \quad (3)$$

ამ განტოლების საშუალებით თუ გამოვთვლით მოტომავლის თვლებთან მიყვანილ სიმძლავრეებს, დიაგრამა მიიღებს ასეთ სახეს (ნაბ. 2).



მოტომავლის თვლებთან მიყვანილი სიმძლავრის 270-ზე გამრავლებით და მოტომავლის სიჩქარეზე (კილომეტრსა-ათში) გაყოფით, მივიღებთ მოტომავლის თვლებთან მიყვანილ წევის ძალას:

$$P_a = \frac{Na \cdot 270}{V} \cdot \dots \dots \quad (4)$$

მოტომავლის თვლებთან მიყვანილი წევის ძალა, ცხადია, დაიხარჯება იმ წინააღმდეგობათა დაძლევაზე, რომლებიც ხვდება მოტომატარებელს მოძრაობის დროს.

ამრიგად შეიძლება დავწეროთ მოტომავლის წევის ძალანის:

$$P_a = P_f + P_w + P_r \pm P_i \pm P_j \cdot \dots \dots \quad (5)$$

საზღაც P_f — წევის ძალა, რომელიც დაიხარჯება მოტომატარებლის გორვის წინააღმდეგობის დაძლევაზე;

P_w — წევის ძალა, რომელიც დაიხარჯება ჰაერის წინააღმდეგობის დაძლევაზე;

P_r — წევის ძალა, რომელიც დაიხარჯება მოხვეულობის წინააღმდეგობის დაძლევაზე;

P_i — წევის ძალა, რომელიც დაიხარჯება ქანობისაგან გამოწვეულ წინააღმდეგობის დაძლევაზე;

P_j — წევის ძალა, რომელიც დაიხარჯება მოტომატარებლის აჩქარებაზე (на разгон).

მოტორატარებლის გორგისათვის საჭირო წევის ძალა ედრება:

$$P_f = Gf_1 + Qf_2 \quad \dots \dots \quad (6)$$

სადაც G —მოტორატარებლის წონაა ჩეში,

f_1 —მოტორავლის გორგის წინააღმდეგობის კოეფიციენტია,

Q —მისაბმელების წონაა ტვირთით kg ,

f_2 —მისაბმელების გორგის წინააღმდეგობის კოეფიციენტია.

გორგის წინააღმდეგობის კოეფიციენტი არის წევის ძალა, რომელიც საჭიროა მოტორავლის (ან მისაბმელის) წონის ურთი კილოგრამის გადასაადგილებლად პორიზონტალურ მონაკვეთზე.

გორგის წინააღმდეგობა გამოწევეულია შემდეგ ფაქტორებით: 1) თვლების ლერძების საკისურებები ხახუნით, 2) რესორებში ხახუნით, 3) თელების, რელსებთან გორგის ხახუნით (თვლებისა და რელსების დეფორმაცია), 4) ცურვის ხახუნით თვლის სალტესა და რელსს შორის, რის მთავარი მიზეზიც არის სალტეს კონიურობა, 5) დარტყმებით, რომელიც ხდება რელსების პირიპირებში (შენაერთებში—на стыках), რადგან დარტყმის დროს მატარებლის ცოცხალი ძალის ნაწილი გადავა დარტყმის მექანიკურ მუშაობაში.

უკანასკნელი გამოკვლეულებით დამტკიცდა რომ f_1 , და f_2 შეიცვლელობა იცვლება სიჩქარის ცვალებადობით, მაგრამ პრაქტიკაში დასაშეგ სიჩქარეების შეცვლა იწვევს f_1 , და f_2 -ს შენიშვნელო ცვალებადობას, ამიტომ მათი სიღიღე შეიძლება ჩავთვალთ შედებით.

ჰაერის წინააღმდეგობის დასაშლევად საჭირო წევის ძალა უდრის:

$$P_w = \frac{K F^2}{13} \quad \dots \dots \quad (7)$$

სადაც K —ჰაერის წინააღმდეგობის კოეფიციენტია,

F —მოტორატარებლის შებლის ფართი m^2

V —მოტორატარებლის სიჩქარე km საათში.

ჰაერის წინააღმდეგობის კოეფიციენტად იგულისხმება ძალა, გამოხატული კილოგრამებში, რომელიც უნდა მოვდევათ შებლის ზედაპირის ერთ კვადრატულ მეტრს იმისათვის, რომ მას მივანიჭოთ წაშში ერთი მეტრის სიჩქარე.

კოეფიციენტ K -ს შენიშვნელობას იღებენ ექსპერიმენტალურად.

შებლის ფართი უდრის მოტორატარებლის გევშილის ფართს, თუ გევშილთ სიბრტყე მოთავსებულია მოძრაობის პერიპერიდიკულიარულ სიბრტყეში. მაგრამ, ეინაიდან შესაძლებელია, ასეთმა გევშილმა მიიღოს ძალიან რთული ფორმა და მის გამოვლას მოუნდეს დიდი დრო, ამიტომ შებლის ფართს ანგარიშობენ, როგორც ნაწარმოებს მოტორავლის სიგანისა (თვლებთა შორის მანძილის) მის შესიმაღლურ სიმაღლეზე (დედაწიდან ყველაზე მაღლა მყოფ წერტილმდე).

ტყის ზიღვის პრაქტიკაში მისაბმელებზე დაწყობილი ხეების სიმაღლე ძალიან ხშირად სცილდება მოტორავლის სიმაღლეს. ამ შემთხვევაში შებლის ფართი უნდა გავადიდოთ 15-20 პროცენტამდე.

მოტორავლის სიჩქარე გამოხატება ასე:

$$V = \frac{2\pi R n_0 m}{60 \text{ sec}}$$

სადაც R —მოტომავლის თვლის რადიუსია m ,
 n_0 —მოტომავლის თვლის ბრუნვათა რიცხვი წუთში. მოტომავლის თვლის
 ბრუნვათა რიცხვი კი უდრის:

$$\pi_0 = \frac{\pi}{i} \quad \dots \quad (8)$$

სადაც π —ძრავის ბრუნვათა რიცხვია წუთში,

i —მოტომავლის ტრანსმისის მთლიანი გადაცემათა რიცხვია.

პირველ გადაცემისათვის $i = i_1 \cdot i_2$;

მეორე π $i = i_2 \cdot i_3$;

მესამე „ $i = i_3 \cdot i_4$;

უკანა სელისათვის $i = i_4 \cdot i_5$.

სადაც i_0 —გადაცემათა რიცხვია უკანასკნელ გადაცემაში (რელუქტორში);
 i_1, i_2, i_3 და i_4 —გადაცემათა რიცხვებია სიჩქარეთა ყუთში სათანადო გადაცემისგან.

ამრიგად შეიძლება დავწეროთ:

$$V = \frac{2\pi Rn}{60i} \frac{m}{sec};$$

თუ გადაცემანთ კილომეტრ-სათვებში:

$$V = \frac{2\pi Rn \theta_0}{1000 i} = 0,377 \frac{Rn}{i} \frac{km}{h} \quad \dots \quad (9)$$

მოხვეულობის წინააღმდეგობის დასაძლევად საჭირო წევის ძალა ედრება:

$$P_r = (G + Q)w, \quad \dots \quad (10)$$

სადაც w — მოტომატარებლის მოსახვევში მოძრაობის წინააღმდეგობის კოეფიციენტია.

მოსახვევში მოძრაობის წინააღმდეგობის კოეფიციენტი არის ხველრითი წევის ძალა, რომელიც საჭიროა მოტომატარებლის წონის თითოეული კილოგრამის გადასაადგილებლად მოსახვევში.

მოსახვევში მოძრაობის წინააღმდეგობას იწვევენ შემდეგი მიზეზები:

1) მოტომატარებლის მოსახვევში შესვლის დროს თვლის სალტის ქინი (гребенი ბანდაჟა) მიეკვრება რელს და რჩება მასზე მიკრული მოსახვევის გავლამდე. ეს იწვევს დამატებით ხახუნს თველსა და რელს შორის.

2) მოსახვევში წარმოიშვება ცენტრალური ლერძებით თვევიანთი თვლებით აგანიერებენ ლიანდაგს და თველები ეხახუნებიან რელსებს.

ამ წინააღმდეგობათა თეორიულად გამოთვლა ძალიან ძნელია, რადგანაც ისინი დამოკიდებული არიან მრავალ ფაქტორებზე: მოსახვევის რადიუსზე, ღრძებს შორის მანძილზე (ბაზაზე), სიჩქარეზე, სალტების გაცვეთილობაზე, ამინდზე, ლიანდაგის სიგანეზე, ლიანდაგის გადანიერებაზე და სხ. ამიტომ ორთქლმავლებისათვის ამ წინააღმდეგობებს ანგარიშმონდენ ემპირული ფორმულებით, რომლებიც ითვალისწინებენ მხოლოდ მთავარ ფაქტორს — მოხვეულობის რადიუსს.

მაგალითად, ფართო ლიანდაგიან გზებისათვის ხმარობენ ასეთ ფორმულას: გადაც

$$W_r = \frac{700}{R} \cdot 0,001 \quad (kg \text{ მატარებლის } \text{წონის } \text{ერთ } \text{კილოგრამშე),$$

სადაც R — მოხვეულობის რაციუსია.

ვიწრო ლიანდაგიან გზებისათვის, როდესაც ლიანდაგის სიგანე უდრის $750 mm$, მიმართავენ ოპენგეიმის ფორმულას:

$$W_r = \frac{425}{R} \cdot 0,001; \quad \dots \dots \dots \quad (11)$$

და როდესაც ლიანდაგის სიგანე უდრის $600-700mm$, მაშინ:

$$W_r = \frac{250}{R-5} \cdot 0,001 \quad \dots \dots \dots \quad (12)$$

მოტომავლებისათვის, საქმაო რაოდენობის ცდებისა და დაკვირვებების უქონლობის გამო, ასეთი ფორმულები არ არსებობენ. ჯერჯერობით ძალაუნებურად მოტომავლებისათვისაც მიმართავენ ამ ფორმულებს. მაგალითად, ნევეს-კის თავის ნაში ვიწროლიანდაგიან მოტომავლისათვის მოქადაცების ფორმულა.

შეგრამ ამ ფორმულების პირდაპირი გადმოტანა მოტომავლებისათვის სამართლიანი იქნება ხსოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოტომავლის ბაზა უდრის ორთქლმავლის ბაზას. ვინაიდან მოტომავლის ბაზა უფრო მცირეა, ამიტომ მოსახვევის ხევდრითი წინააღმდეგობაც ნაკლები უნდა იყოს და ჩვენის აზრით უფრო სამართლიანი იქნება, თუ $750 mm$ -იან ლიანდაგისათვის ვიშმართ მეორე ფორმულას:

$$W_r = \frac{250}{R-5} \cdot 0,001$$

ქანობის დასაძლევად საჭირო წევის ძალა გამოიხატება ასე:

$$P_i = (G+Q)i \quad \dots \dots \dots \quad (13).$$

სადაც i — ქანობია მეათასედებში.

წევის ძალა, რომელიც იხარჯება მოტომატარებლის აჩქარებაზე უნდა გიანგარიშოთ ასე:

რადგანაც აჩქარებას ეწინააღმდევება ინერცია, ამიტომ აჩქარებისათვის საჭირო წევის ძალა უნდა დაიხარჯოს ინერციის დაძლევაზე.

$$\text{გაშასადამე} - P_{jg} = M_j,$$

სადაც M — მოტომავლის მასა,

$$j— მოტომავლის აჩქარება,$$

P_{jg} — მოტომავლის აჩქარებისათვის საჭირო წევის ძალა; უარყოფით ნიშანს არ ვწერთ, ვინაიდან საერთოდ ყველა დანაკარგებს ვგულისხმობთ უარყოფით სიდიდეებათ.

წინა განტოლება შეიძლება გადავწეროთ ასე.

$$P_{jg} = \frac{G}{g} j, \quad \dots \dots \dots \quad (14)$$

სადაც g — სიმძიმის ძალის აჩქარებაა.



მოტომავლისთვის ეს განტოლება სამართლიანი იქნებოდა, რომ-არა გუშენობა მბრუნავი ნაწილები: მქნევარა, ღერძები, კბილანები, თვლები და სხ., მაგრამ მათი აჩქარება იწვევს დამატებით დანაკარგს. ყველაზე მეტად შესამჩნევ გავლენას ახდენენ მქნევარა და თვლები.

ამ დანაკარგის ანალიზური გამოთვლა იძლევა ძალიან რთულ გამოთქმას და მისი გამოყენება პრაქტიკულ მიზნებისათვის უხერხულია, ამიტომ მის გასათვალისწინებლად განტოლებაში შექმავთ კოეფიციენტი მ, რომელიც ერთხე მეტად.

$$P_{jg} = \frac{\delta_1 G}{g} j; \quad \dots \dots \quad (15)$$

ავტომობილებში მ, მისახლოვებითი გამოთვლისათვის პროფ. ჩუდაკოვი იძლევა ასეთ ფორმულას:

$$\delta_1 = 1 + 0,06 \left(\frac{i}{i_0} \right)^2 \quad \dots \dots \quad (16)$$

სადაც i —ტრანსმისიის მთლიანი გადაცემათა რიცხვია,

i_0 —გადაცემათა რიცხვი რედუქტორში.

ვინაიდან ორლერძიანი მოტომავლები თავიანთი მბრუნავი ნაწილების ზომებით და მასსებრთ არ სჭარბობენ დიდ საბარეო ავტომობილებს, ამიტომ ჩვენის აზრით, ეს ფორმულა შეიძლება ჩატვალოთ საესებით სამართლიანად ორლერძიან მოტომავლებისათვის. უფრო დიდ მოტომავლებისათვის კი საჭირო იქნება ზემოთ ნახსენებ რთულ ფორმელების ხმარება (ი. „Mex. Тяга”—Флоров).

მისაბმელებისათვის მივიღებთ:

$$P_{jq} = \frac{\delta_1 Q}{g} j \quad \dots \dots \quad (17)$$

სადაც P_{jq} —მისაბმელების აჩქარებისათვის საჭირო წევის ძალაა;

δ_1 —მისაბმელების მბრუნავ ნაწილების აჩქარების გამოვალისწინებელი კოეფიციენტია.

შ,—ს მნიშვნელობა იდება 1,02-დან 1,06-მდე.

მაშასადამე, მოტომატარებლის აჩქარებისათვის საჭირო წევის ძალა ედრება:

$$P_j = P_{jg} + P_{jq} = \frac{(\delta_1 G + \delta_1 Q)j}{g} = \frac{(\delta_1 G + \delta_1 Q)(G + Q)j}{(G + Q)g};$$

თუ აღვიშნავთ

$$\delta = \frac{\delta_1 G + \delta_1 Q}{G + Q}, \text{ მაშინ}$$

$$P_j = \frac{\delta(G + Q)j}{g}. \quad \dots \dots \quad (18)$$


სადაც δ —მოტომატარებლის (მოტომავლის და მისაბმელების) მბრუნავ ნაწილების აჩქარების გამოვალისწინებელი საერთო კოეფიციენტია (დაყვანილი კოეფიციენტი).

ამრიგად, მოტომავლის წევის ბალანსი შეიძლება დავწეროთ ასე:

$$P_a = Gf_1 + Qf_2 + \frac{KVF^2}{13} + (G+Q)W_r \pm (G+Q)i \pm \frac{\delta(G+Q)j}{g}.$$

თუ ზევით მოყვანილ ფორმულის $P_a = \frac{N_a 270}{V}$ თანაბმად გამოვთვლით თვლიბთან მიყვანილ წევის ძალებს ყველა გადაცემებისათვის და სიჩქარეებისათვის, შეიძლება ავაგოთ დიაგრამა (ნახ. 3), რომელიც გვიჩვენებს $P_a - s$ ცვალებადობას სხვადასხვა გადაცემებზე და სიჩქარეებზე.


ჰარისის წინააღმდეგობის დასაძლევად საკირო წევის ძალის სიდიდე არ არის დამოკიდებული გზის წინააღმდეგობებზე და, თუ მას გადავიტან განტოლების მარცხნა მხრეში, წევის ბალანსი მიიღებს ასეთ სახეს:



$$(19) \dots P_a - \frac{KVF^2}{13} = Gf_1 + Qf_2 + (G+Q)W_r \pm (G+Q)i \pm \frac{\delta(G+Q)j}{g}.$$

გამოთქმას $P_a - P_w$ ეწოდება თავისუფალი წევის ძალა და აღინიშნება ასროთი P_u .

თავისუფალი წევის ძალა იხარჯება გზის წინააღმდეგობების დაძლევაზე და მოტომატარებლის აჩქარებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მოტომავლის სიჩქარე არ აღემატება 15 კმ. საათში, $P_w - s$ მნიშვნელობა იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ის სრულებით არ მივიღოთ მხედველობაში; ამ შემთხვევაში $P_d = P_u$, ე. ი. თელებთან მიყვანილი წევის ძალა მთლიანად წავა გზის წინააღმდეგობების და ინერციის დაძლევაზე.



მოტომავლის თავისუფალი წევის ძალა ცვალებადი სიდიდეა, ის დამოკიდებულია ძრავის დამახასიათებელზე და გადაცემათა რიცხვზე მოტომავლის ტრანსმისიაში. თუ გამოვთვლით თავისუფალ წევის ძალას მოტომავლის ყველა სიჩქარეებისათვის, ყველა გადაცემებზე, შეგიძლია ავაგოთ თავისუფალი წევის ძალის დიაგრამა (ნახ. 4), რომელსაც ეწოდება წევის დამახასიათებელი.

ეს დიაგრამა იძლევა მთლიან წარმოდგნას მოტომავლის წევის უნარიანობაზე.



თუ არ გვაქვს აჩქარება, მაშინ $P_u - P_f$ მოგვცემს წევის ძალას, რომელიც უა-
ისარჯება ქანობის და მოსახვევის წინააღმდეგობის დაძლევაზე; მაგრამ, თუ არა
გვაქვს ქანობი და მოსახვევი, მაშინ $P_u - P_f$ წავა მოტომავლის აჩქარებაზე.
სიდიდეს $P_u - P_f$ უწოდოთ წევის მარაგი. მაშასადამე, წევის მარაგი იხარჯება
მოსახვევის, ქანობის და აჩქარების წინააღმდეგობების დაძლევაზე.

საერთოდ ორთქლმავლების და ავტომობილების პრაქტიკაში წევის ანგა-
რიშების წარმოება მიღებულია ხელირით წევის ძალების საშუალებით (მეტი
თვალსაჩინოებისთვის). იმავ ხერხს შეიძლება მივმართოთ აქაც.

ამისათვის მოტომავლის წევის ბალანსი გაყოლოთ მოტომატარებლის მოელ
წონაზე, მივიღებთ:

$$\frac{P_u}{G+Q} = \frac{Gf_1 + Qf_2}{G+Q} + W_r \pm i \pm j \frac{\delta}{g}; \quad \dots \dots \dots \quad (20)$$

გამოთქმას $\frac{P_u}{G+Q}$ უწოდოთ მოტომავლის დინამიური ფაქტორი და აღვ-
ნიშნოთ ასოთი D . D არის თავისუფალი ხელირითი წევის ძალა, ან თავისუფა-
ლი წევის ძალა, რომელიც მოდის მოტომატარებლის წონის ერთეულზე.

გამოთქმა $\frac{Gf_1 + Qf_2}{G+Q}$ არის რაღაც საშუალო მოელ მატარებლისათვის,
გორვის წინააღმდეგობის კოეფიციენტი და აღნიშნოთ f , მაშინ:

$$D = f + W_r \pm i \pm j \frac{\delta}{g}, \quad \dots \dots \dots \quad (21)$$

ე. ი. დინამიური ფაქტორი უდრის გზის წინააღმდეგობების და ინერციის
შემთხავებელ კოეფიციენტების ჯამს.

მოსახვევის წინააღმდეგობა შეიძლება შეიცვალოს ფიქტიური ქანობით,
რომელიც მოგვცემს ისეთსავე წინააღმდეგობას, რომორსაც მოსახვევი.

მაგალითად, თუ გვაქვს მოსახვევი რაღისით R და მოსახვევში მოძრაო-
ბის წინააღმდეგობის კოეფიციენტი მივიღეთ W_r , ცხადია, ეს წინააღმდეგობა
იქნება ტოლფარდი ქანობით გამოწვეულ წინააღმდეგობისა, თუ $W_r = i$; მაშა-
სადამე, როდესაც არ გვაქვს მოსახვევი, ხელირითი წევის ბალანსი მიიღებს
ასეთ სახეს:

$$D = f \pm i \pm j \frac{\delta}{g}, \quad \dots \dots \dots \quad (22)$$

როდესაც გვაქვს მოსახვევი:

$$D = f \pm i_k \pm j \frac{\delta}{g}, \quad \dots \dots \dots \quad (23)$$

საღაც $i_k = i + W_r$. რაღგანაც შეეთანხმდით, რომ W_r განვიხილოთ რო-
გორც ფიქტიური ქანობი.

i_k — ნაჯაში წინააღმდეგობაა მოსახვევისა და ქანობისაგან.
და როლესაც გვაქვს თანაბარი მოძრაობა

$$D = f + i \dots \dots \dots \quad (24)$$

მოტომავლის დინამიური ფაქტორი თანაბარი მოძრაობის დროს უდრის გზის წინააღმდეგობათა კოეფიციენტის ჯამს ან, რაც იგივეა, ხელითი თავისუფალი წევის ძალა იხარჯება გზის წინააღმდეგობათა დაძლევაზე.

თუ გამოვთვლით ხელითი თავისუფალი წევის ძალას $\frac{P_u}{G+Q}$, შეგვიძლია ავაგოთ დიაგრამა (ნახ. 5) და უწოდოთ მოტომავლის დინამიური დამახსიათებელი.

დინამიური დამახსიათებელი იძლევა მთლიან წარმოდგენას მოტომავლის დინამიურ თვისებებზე; ის გვაძლევს საშუალებას დავისკვნათ, თუ ეს თუ ის მოტომავლი თვისი წევის უნარიანობით რამდენად გამოსადევია ამა თუ იმ პირობებში. მის საშუალებით წევნ ადვილად შეგვიძლია განვისაზლეროთ, რომელ სიჩქარეზე და რომელ გადაცემაზე როგორი ქანობების დაძლევა ან როგორი აჩქარების მიღება შეუძლია მოტომავლას.

ვინაიდან f მნიშვნელობა მოცულულ გზაზე უცვლელია, ის გადმოვიტანოთ განტოლების მარცხნა შეარები:

$$D - f = i + \frac{\delta}{g} j; \dots \dots \dots \quad (25)$$


გამოთქმას $D - f$ უწოდოთ ხელითი წევის მარაგი.

ხელითი წევის მარაგი იხარჯება ქანობის და აჩქარების წინააღმდეგობების დაძლევაზე. თანაბარი მოძრაობის დროს

$$D - f = i, \dots \dots \dots \quad (26)$$

ე. ი. ხელითი წევის მარაგი მთლიანად წაე ქანობის დაძლევიზე.
დინამიურ დამახსიათებელზე თუ გადავზომავა f მნიშვნელობას, (ნახ. 5) იქმდან გაფავლებთ პორიზონტას და მას მიეიღებთ ახალ აბსცისათა ღერძათ, მაშინ ორინატები მოგვცემენ ხელითი წევის მარაგის მნიშვნელობებს.

დინამიური დამახსიათებელის მესამე გადაცემის მრუდის და f -ის ღერძის გადაკვეთა ეთანალება მნიშვნელობას $D - f = 0$;
ე. ი. ხელითი წევის მარაგი მთლიანად იხარჯება გორგის წინააღმდეგობის დაძლევაზე და მისი შესაბამი სიჩქარე გვაძლევს V_{max} , რომლის განვითერებაც შეუძლია მოტომავლას პორიზონტალურ მონაკვეთზე; ან ამ სიჩქარეზე მოტომავლს არ შეუძლია არც ქანობის დაძლევა და არც აჩქარება.






თანამდებობის მოძრაობის დროს $D-f=i$, ე. ი. ორდინატა D -ზე მიწოდებილ მოვალეობის ქანობების მნიშვნელობებს, რომლის დაძლევაც შეუძლია მოტომავრლს ამა თუ იმ სიჩქარეზე.

აჩქარებული მოძრაობის დროს შეიძლება იქნეს ასეთი შემთხვევები:

$$1) D-f=\frac{\delta}{g} i, \quad \text{ე. ი. } \text{ხედრითი } \dot{x}\text{-ის } \text{მარაგი } \text{მთლიანად } \text{იხარჯება } \text{მოძრაობის } \text{აჩქარებაზე.}$$

$$2) D-f=i+\frac{\delta}{g} j, \quad \text{ე. ი. } \text{გვაქვს } \text{ქანობიც } \text{და } \text{აჩქარებაც.}$$

პირველ შემთხვევის საილიუსტრაციო განვიხილოთ მოტომავლის დაძვრა აღვილიდან პორიზონტალურ მონაკვეთზე (ნახ. 6):



ნაშენის სიჩქარეთ უნდა მიეღილოთ კრიტიკული სიჩქარე V_k , ვინაიდან აჩქარების გამოთვლა C -დან V_k -მდე ამ გრაფიკით შეუძლებელია და თანაც ის იმდენად მცირეა, რომ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული.

ჩვენ შევვიძლია ზოგადათ დაკრიტიკოთ ასე:

$$j = \frac{(D-f)}{\delta} g = \frac{m}{sec^2}; \quad \dots \dots \dots \quad (27)$$

მაგრამ, ვინაიდან სიჩქარის ცვალებადობით იცულება ხედრითი წევის მარაგის მნიშვნელობა, ამიტომ ყოველ მიღწეულ სიჩქარეზე აჩქარების მნიშვნელობაც სხვა იქნება. ჩვენთვის კი საინტერესოა მოტომავლის საშუალო აჩქარება თოთოლეულ გადაცემაზე; ივ შეიძლება მოიძებნოს ასე:

პირველ გადაცემაზე სიჩქარე იცვლება V_k -დან V_a -მდე, ამ ფარგლებში უნდა მოვძებნოთ საშუალო ხედრითი წევის მარაგი და მის განტოლებაში ჩასმით მივიღებთ საშუალო აჩქარებას 1-ლ გადაცემაზე. საშუალო ხედრითი წევის მა-

რაგის მოსამებნათ გაფავლოთ დიაგრამაზე ხაზი i იმ ანგარიშით რომ ფართი D_1-f
უდრიდეს ფართ L_g . ი. $F=L_s$, მაშინ ორდინატა $ac=D_1-f$ იქნება საშუალო თა-
ვისუფალი წევის მარაგი პირველ გადაცემაზე, და საშუალო აჩქარება ამ გადა-
ცემაზე ედრება:


$$j_1 = \frac{(D_1-f)}{g} g = \frac{m}{sec^2}.$$

ამავე ხერხით შეგვიძლია გამოვთვალოთ საშუალო აჩქარებები დანარჩენ
გადაცემებისათვისაც,

$$j_2 = \frac{(D_2-f)}{g};$$

$$j_3 = \frac{(D_3-f)}{g} g.$$

შეორე შემთხვევის საილიუსტრაციოთ განვიხილოთ უბნისან უბანზე გა-
დასცლის შემთხვევა. (ნახ. 7)



ვთქვათ, მოტომავალი მოძრაობს გზის პირველ უბანზე, რომელზედაც გვაქვს
ქანაობი i , და გორგის წინააღმდეგობის კოეფიციენტი f .

ამ უბანზე სამოძრაოთ საჭიროა ხვედრითი თავისუფალი წევის ძალა
 $D_1=f+i$, თუ ამას გადავხომავთ ორდინატა ღერძებე, ამსცისათვის ღერძებები და-
ვილად მოიძებნება სიჩქარე V_1 , რომელსაც ანგითარებს მოტომავალი ამ უბანზე.

ვთქვათ, რომ მოტომავალი გადავიდა შეორე უბანზე ქანობით i , და
 $i_1 > i$; მაშინ $f+i_1 = D_2$ და $D_2 < D_1$. ამ უბანზე მოტომავლის სიჩქარე ედრება V_2 ,
ეს კი მეტია V_1 -ზე. ამ შემთხვევაში, ცხადია, მოტომატარებლის სიჩქარის გადი-
დებაზე დაიხარჯება განთავისუფლებული დინამიური ფაქტორი $D_1 - D_2$. რადგა-
ნაც სიჩქარის გადიდების პროცესში განთავისუფლებული დინამიური ფაქტო-

რის მნიშვნელობა ცვალებადობს, ამიტომ გამოვთვალოთ მისი საშუალო შემცირებელობა, რომელიც ედრება მონაკვეთს ab .

$$ab = D_0 - f - i_0.$$

თუ ამას ჩავსვამთ განტოლებაში, მიეიღებთ საშუალო აჩქარების მნიშვნელობას I უბნიდან II უბანში გადასვლის დროს,

$$j = \frac{(D_0 - f - i_0)}{g} \cdot \frac{m}{sec^2}. \quad \dots \dots \dots \quad (28)$$

ამგვარი შეცვლილობით შეიძლება აჩქარება გამოითვალოს ყველა შესაძლებელ შემთხვევებში.

აჩქარების მნიშვნელობა იძლევა წარმოლგენას მოტომავლის დნამიურ თვისებებზე, მაგრამ საექსპლოაციო წევის ანგარიშის დროს მასზე მეტი მნიშვნელობა აქვს აჩქარების დროს და აჩქარების მანძილის კოდნას.

აჩქარების დრო ეწოდება იმ დროს, რომლის განმავლობაშიც მოტომავლის შეუძლია გაადიდოს თავისი სიჩქარე V_x -დან V_y -მდე. აჩქარების მანძილი კი — იმ მანძილს, რომლის განმავლობაშიც მოტომავალს შეუძლია გაადიდოს თავის სიჩქარე V_x -დან V_y -მდე.

$$\text{რადგანაც } j = \frac{V_y - V_x}{t} \cdot \frac{m}{sec^2}. \quad \dots \dots \dots \quad (29)$$

$$\text{აჩქარების დრო } t = (V_y - V_x) \cdot \frac{1}{j} sec; \quad \dots \dots \quad (30)$$

$$\text{საჭაც } V_x - \text{სიჩქარე } \alpha \text{ აჩქარების დაწყებამდე } \frac{m}{sec}.$$

$$V_y - \text{მიღწეული } \beta \text{ სიჩქარე } \frac{m}{sec}.$$

წევთ გარჩეულ შემთხვევისათვეს:

$$t = \frac{(V_2 - V_1) \delta}{(D_0 - f - i_0) g}. \quad \dots \dots \dots \quad (31)$$

გარბენის მანძილი შეიძლება გამოვთვალოთ ასე:

$$S = V_m t, \quad \dots \dots \dots \quad (32)$$

$$\text{საჭაც } V_m - \text{საშუალო } \text{სიჩქარე } \alpha \text{ აჩქარების განმავლობაში } \text{ და } \text{უდრის}$$

$$V_m = \frac{V_y + V_x}{2}; \quad \dots \dots \dots \quad (33)$$

t — აჩქარების დროა.

ამათი ჩასმით მივიღებთ:

$$S = \frac{(V_y + V_x) (V_y - V_x)}{2 j} = \frac{V_y^2 - V_x^2}{2 j} m. \quad \dots \dots \dots \quad (34)$$

ჩევით გარჩეულ უბნიდან უბანზე გადასცლის შემთხვევისათვის

$$S = \frac{(\nu_1 - \nu_2) \delta}{2(D_0 - f - i_0)g} m.$$

დინამიურ დამახასიათებელზე მიღებული თავისუფალი წევედრითი წევის ძალები განსაზღვრული იყო ძრავის სიმძლავრით. მაგრამ ამ წევის ძალებს მოტორმავალი განვითარებს (გამოიყენებს) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება სათანადო ჩატიდება ლიანდაგთან. ჩატიდების ძალა დამოკიდებულია ორ სიდიდეზე: — ჩატიდების კოეფიციენტზე უდაბნო და მოტომავლის წონაზე G .

ჩატიდების ძალა გამოიხატება ასე:

$$P_\mu = G\mu \quad \dots \dots \dots \quad (35)$$

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ძრავის მიერ განვითარებული წევის ძალის გამოყენება, აუცილებელია

$$P_\mu \leq P_a; \quad \dots \dots \dots \quad (36)$$

ე. ი. თვლებთან მიყვანილი წევის ძალა უნდა იყოს ნაკლები ან უდრიდეს მოტომავლის ჩატიდების ძალას.

თუ გადავალთ თავისუფალ წევედრითი წევის ძალებზე, მაშინ დინამიური ფაქტორის მაქსიმალური მნიშვნელობა, რომლის განვითარებაც შეუძლია მოტომავალს, ედრება:


$$D_{max} = \frac{\mu G}{G + Q}; \quad \dots \dots \dots \quad (37)$$

ეს იქნება დინამიური დამახასიათებლის სამუშაო ზღვარი და გრაფიკულად წარმოდგენილია (ნაბ. 8) ხაზით ab .

ამ შემთხვევაში წევის ძალები, რომლებიც მოექცნენ ab -ს ზევით, არიან გამოუყენებელი. ამრიგად სათანადო ჩატიდების ძალის უქონლობამ შეამცირა მოტომავლის წევის უნარიანობა. რაც მეტია ჩატიდების კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით მაღლა აიწევს სამუშაო ზღვარი.

მოტომავლის დამუხრუჭება.

მოტომავლის დამუხრუჭების დროს მის თვლებს უნდა მოედოთ ძალა, რომელიც გაადიდებს გორვის წინააღმდეგობას და გამოიწვევს სიჩქარის შენელებას ან გაჩერებას.





დამუხრუქების დროს მოტომავლის და ლიანდაგის შეხების დამუხრუქების წარმოშვება რეაქციის ძალა (დამუხრუქებელი ძალა), მიმართული მოძრაობის საწინააღმდეგოთ, რომელიც უძრის:

$$F = G(\mu - f). \quad \dots \dots \dots \quad (38)$$

ჯერ განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც დამუხრუქებელ მხოლოდ მოტომავალს; მისაბმელებზე მუხრუქები არ გვაქვს.

F
ამ შემთხვევაში $\frac{F}{G+Q}$ მოგვცემს დამუხრუქებელ ხვედრით ძალას, ე. ი. დამუხრუქებელ ძალას, რომელიც მოდის მოტომატარებლის წონის ერთეულზე და მას უწოდებენ დამუხრუქების კოეფიციენტს:

$$\delta = \frac{F}{G+Q} = \frac{G(\mu-f)}{G+Q}; \quad \dots \dots \dots \quad (39)$$

აქედან შეგვიძლია დავწეროთ:

$$F = \delta(G+Q). \quad \dots \dots \dots \quad (40)$$

ცხადია, მოტომატარებლის გაჩერება მოხდება მაშინ, როდესაც მის მოძრაობის დროს დაგროვებული ციცაბალი ძალა მთლიანად დაისარჯება მოძრაობის მოწინააღმდეგე ძალების მუშაობაზე.

ეს გამოიხატება ასე:

$$\begin{aligned} \frac{(G+Q)V^2}{2g} &= (G+Q)fs + (G+Q)is + (G+Q)\delta s, \text{ ე. ი.} \\ \frac{(G+Q)V^2}{2g} &= (G+Q)(f+i+\delta)s \text{ ან} \\ \frac{V^2}{2g} &= (f+i+\delta)s. \quad \dots \dots \dots \quad (41) \end{aligned}$$

სადაც s —დამუხრუქების მანძილია.

დამუხრუქების მანძილი ეწოდება გზის იმ მონაკვეთის, გამოხატულს მეტრებში, რომლის განმავლობაშიც მოხდება მოტომატარებლის გაჩერება.

ამრიგად, თუ ვიცით ის სიჩქარე, როდესაც დავაწყებთ მოტომატარებლის დამუხრუქებას, შეგვიძლია გამოვთვალოთ დამუხრუქების მანძილიც:

$$s = \frac{V^2}{2g(f+i+\delta)} \quad \dots \dots \dots \quad (42)$$

სიჩქარე V აღებულია $\frac{m}{sec}$.

თუ კი წინასწარ არჩეულია დამუხრუქების მანძილი $smt.$, მაშინ

$$V = \sqrt{2g(f+i+\delta)s} \cdot \frac{m}{sec}, \quad \dots \dots \dots \quad (43)$$

$$V = 3,6 \sqrt{2g(f+i+\delta)s} \cdot \frac{km}{h} \quad \dots \dots \dots \quad (44)$$

ამრიგად მრეილებთ იმ სიჩქარეს, რომელზე შეტიც არ უნდა განვაჭილოს განვაჭილოს როთ ამა თუ იმ უბანზე, რომ შევძლოთ მოტომატარებლის განვირება ა მან-ძილზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მუხრუპები გვაქვს როგორც მოტომავალზე, ისე ყველა მისაბმელებზე, მაშინ:

$$F = (G + Q(\mu - f)), \quad \dots \dots \dots \quad (45)$$

სადაც f —მოტომავლის და მისაბმელების საერთო მოძრაობის წინააღმ-დეგობის კოეფიციენტია.

$$\text{და} \quad \delta = \frac{F}{G+Q} = \mu - f. \quad \dots \dots \dots \quad (46)$$

ამ შემთხვევისათვის ზევით გამოყვანილი ფორმულები ძალაში რჩებიან, მალოდ შეცვლილი უნდა იქნენ დამუხრუპების კოეფიციენტის მნიშვნელობები.

იმ შემთხვევაში, როდესაც მუხრუპები გვაქვს მოტომავალზე და ზოგიერთ მისაბმელებზე, მაშინ:

$$F = (G + nq)(\mu - f) \quad \dots \dots \dots \quad (47)$$

სადაც q —თითოეულ მისაბმელის წონაა ტვირთით kg .

n —მუხრუპებიან მისაბმელების რიცხვია.

$$\text{და} \quad \delta = \frac{F}{G+Q} = \frac{(G + nq)(\mu - f)}{G+Q} \quad \dots \dots \dots \quad (48)$$

იმ შემთხვევაში კი, როდესაც დამუხრუპებას ვაწარმოებთ სიჩქარის შემ-ცირების მიზნით V_x —დან V_y —მდე, კინეტიური ენერგიის სხვაობა დაიხარჯვება მოძრაობის მოწინააღმდეგე ძალების მუშაობაზე, ე. ი.

$$\frac{(G+Q)}{2g}(V_x^2 - V_y^2) = (G+Q)(f+i+\delta)s,$$

$$\text{საიდანაც} \quad s = \frac{V_x^2 - V_y^2}{2g(f+i+\delta)} \quad m. \quad \dots \dots \dots \quad (49)$$

იმისათვის, რომ მატარებლის განვირება შესაძლებელი იქნეს თავდალმართ-ზე, აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ

$$\begin{aligned} f + \delta + i &> 0 & \text{ან, რაც იგივეა,} \\ f + \delta &> i. & \dots \dots \dots \quad (50) \end{aligned}$$

რადგანაც f -ის მნიშვნელობა მუდმივია, i კი მოცუმული გვიჩნება, შეგვიძლია შევარჩიოთ სასურველი მნიშვნელობა დამუხრუპების კოეფიციენტის შ და, თუ ვიცით მ მნიშვნელობა, შეგვიძლია განვსაზღვროთ მუხრუპებიანი მისაბმელების რაოდენობა:

$$n = \frac{\delta(G+Q)}{(\mu-f)q} - \frac{G}{q}, \quad \text{ას}$$

$$n = \frac{\delta(G+Q) - G(\mu-f)}{(\mu-f)q}. \quad \dots \dots \dots \quad (51)$$

მოტომაცვლის ოპტიმალური დატვირთვის განსაზღვრული კონსტრუქციები

მოტომატარებლის მოძრაობის განტოლება, მისი თანაბარი მოძრაობის დროს, შეიძლება გამოვხატოთ ასე:

$$P_a = G(f_1 + i) + Q(f_2 + i) \dots \dots \quad (52)$$

(თუ მხედველობაში არ მივიღებთ წევის ძალას, რომელიც საჭიროა პაკრის წინააღმდეგობის დასაძლევად).

თუ არ არის თანაბარი მოძრაობა:

$$P_a = G(f_1 + i + \frac{j\bar{\sigma}_1}{g}) + Q(f_2 + i + \frac{j\bar{\sigma}_2}{g}) \dots \dots \quad (53)$$

მოტომაცვლის პირველი გადაცემა დანიშნულია მაქსიმალური წინააღმდეგობის დასაძლევად, მაშასადამე, შეიძლება დაფურცოთ:

$$P_a^I = G(f_1 + i \max) + Q(f_2 + i \max) \quad \text{და} \dots \dots \dots \quad (54)$$

$$P_a^I = G(f_1 + i \max + \frac{j\bar{\sigma}_1}{g}) + Q(f_2 + i \max + \frac{j\bar{\sigma}_2}{g}). \dots \dots \quad (55)$$

აქედან შეიძლება გამოვთვალოთ ტვირთი:

$$Q = \frac{P_a^I - G(f_1 + i \max)}{f_2 + i \max}; \dots \dots \dots \quad (56)$$

და ადგილიდან დაძროაზე შესამოწმებლად:

$$Q = \frac{P_a^I - G(f_1 + j \max + \frac{j\bar{\sigma}_1}{g})}{f_2 + i \max + \frac{j\bar{\sigma}_2}{g}} \dots \dots \dots \quad (57)$$

ეს ფორმულა იქნება სამართლიანი იმ შემთხვევაში, თუ $P_a^I \leq G\mu$, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც $P_a^I > G\mu$, ფორმულაში, თვლებით მიუვანილი წევის ძალის მაგიტრად, ჩასმული უნდა იქნეს ჩაჭიდების ძალა:

$$Q = \frac{G\mu - G(f_1 + i \max)}{f_2 + j \max}; \dots \dots \dots \quad (58)$$

$$Q = \frac{G\mu - G(f_1 + i \max + \frac{j\bar{\sigma}_1}{g})}{(f_2 + i \max + \frac{j\bar{\sigma}_2}{g})} \dots \dots \dots \quad (59)$$



შის შემსევე, რაც გამოვთვალეთ Q —შისაბმელების წონა ტეირთით, იყვნება დამოსათვლელია მისაბმელების რაოდენობა N .

$$N = \frac{Q}{q_1 + q_2} \quad \dots \quad (60)$$

სადაც q_1 —ერთ ცარიელ მისაბმელის წონაა აფ-ში

q_2 —ტეირთის წონა ერთ მისაბმელზე აფ-ში.

ულოროვი, ნევსე და ყველა საფა აფტორები იძლევიან ასეთ ფორმულებს. ამ ფორმულებით მიღილებით სწორ შედეგებს, როდესაც ტეირზიდა სწარმოებს ისეთ უბნებში, სადაც უმთავრესად გვაქვს პორჩინტრალური მონაკვეთები და გვეცედება შემართები ან უმთავრესად გვაქვს აღმართები, ე. ი. როდესაც მორმავალის ძრავი დატეირთულია.

მაგრამ თუ აფილებთ მთან პირობებს (მაგ. საჭართველო), სადაც უმთავრერესად გვაქვს მთის ტყეები, მოტომავლის მუშაობის რეერმი მთლიანად იყვლება, ეინაიდან ტეირთდენა ამ შემთხვევაში გვაქვს ზევიდან ქვევით და წევის ძალის გამოყენების ნაცვლად, პირიქით, საჭირო ხდება მუსარუჭების საშუალებით ჩამოსვლა.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეგვებდეს შებრუნვებული ქანობი, მაგრამ მის დასაძლევად მოტომავლს მოეხმარება წინა უბანზე დაგროვილი ცოცხალი ძალა, ასე რომ მოტომავლის სამუშაო პირობები მაინც შემსუბუქებულია.

ამ მოსაზრებების თანაბმაც, ზემოთ მოყვანილი ტეირთის გამოსაანგარიშებელი ფორმულები, რომლებსაც საუფელად უდეს წევის ძალის გამოყენება, ამ შემთხვევებისათვის ვერ მოვცემენ სწორ შედეგებს.

გავარჩიოთ შემთხვევა, როდესაც ტეირთი მოდის ზევიდან ქვევით მჰამოდ დაღმართხე.

ეს ტეირთის ასაჩრდილება ვიმსჯელოთ ასე: ზევით მოყვანილი ფორმულის თანაბმად გამოვიადგარიშოთ ცარიელი მისაბმელების რაოდენობა, რომელიც ატანაც შეუძლია მოტომავლს ქვევიდან ზევით (ტყეში), ე. ი. მოტომავლი დაცტეირთოთ არა ტეირთ სასაზიდო მიმართულებით. ზევიდან ქვევით წამოსცელა კი ვაწარმოვოთ მუსარუჭების საშუალებით და თვით მოტომავლიც ვამოვიყენოთ დამუშარუჭებისათვის.

ასეთი ანგარიშით ჩვენ მიღილებთ უსაოურო ძალიან გრძელ შემაღებილობას, რომელიც გამოიწვევს მთელ რიგ უსერსულობებს ექსპლოატაციაში, მაგალ.:

1) გრძელი შემაღებილობის მოსათავესებლად საჭირო იქნება გრძელი სამუშაო მოედანი, (ის აღვილი, სადაც ხდება მოტომატარებლის დატეირთვა და განტეირთვა). ასეთი მოედნის მოწყობა მთის ტყეში ძალიან ძნელია და მოითხოვს ბევრ მიწის სამუშაოებს.

2) საჭირო იქნება დამტვირთვაც და გამტეირთვაც მექანიზმების დიდი რაოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გადიდულება მოტომატარებლის ფუნქცი დამომა.

3) გაძნელდება დატეირთულ მოტომატარებლის აღდილიდან დაძერა და სა.

მიუხედავად ყველა ამ მიხებებისა, შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში ის ხერა მაინც იქნეს მისაღები, მაგრამ სხვა მრავალ შემთხვევაში ამ ხერას კერძო დავემყარებით.

აქ გარჩეულ შაგალითში ჩვენ დაშვებული გვეონდა, რომ მოტომატარებელი სულ დაღმართხე მუშაობდა. ცხადია ყოველთვის ასე არ იქნება, არამედ შესაძლებელი შეგვაცდეს გრძელი შებრუნებული ქანობი, რომლის დაძლევასაც უკრ შესძლებს მოტომვალი ცოცხალი ძალის ხარჯზე. ამ პირობებში სანგარიშო ქანობათ უნდა მივაღოთ შებრუნებული ქანობი და გამოვთვალოთ ტვირთი ზევით მოყვანილი ფორმულით. ამ შემთხვევაში ტვირთის სხვანაირად არჩევის საშუალება არ არის; მაგრამ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გზის საეთო პროფილი ხელსაყრელი არაა, ვინაიდან შესაძლებელია ტვირთი მივიღოთ ძალასან პატარა. გრძელ და დიდ შებრუნებულ ქანობების როოდენობა ზევიდან ქვევით ტვირთ დენის შემთხვევაში (მთან პირობებში) იქნება ბევრად ნაკლები, ვიდრე დაღმართების რაოდენობა, მათასადმე ტვირთის სიღილე შევსაბამება გზის მცირე ნაწილს, გზის დანარჩენ მონაკვეთებზე კი მოტომავალი იქნება დაუტვირთავი.

ცხადია, შებრუნებული ქანობები რომ ყოფილიყვნენ ისეთი, რომლის დაძლევასაც შესძლებდა მოტომატარებელი ცოცხალი ძალის ხარჯზე, ტვირთის გადადებაც შესაძლებელი იქნებოდა.

ყველა ზევით მოყვანილ მოსაზრებების გამო გზის პროფილის შერჩევის დროს უნდა ვეცადოთ, რომ შებრუნებული ქანობების სიგრძე შერჩეული იქნენ იმ ანგარიშით, რომ მათი დაძლევა შესაძლებელი იყოს ცოცხალი ძალის ხარჯზე.

მისათვის უნდა ვიშაგელოთ ასე:

თუ მოტომატარებლის წონა არის $(P+Q) kq$,

$V_1 - \text{სიჩქარე } \frac{m}{sec}$, რომლითაც მოტომავალი შეუდგება ქანობს,

$V_2 - \text{სიჩქარე } \frac{m}{sec}$ ქანობის ბოლოს,

$f - \text{მოტომატარებლის } \text{მოტრაობის } \text{წინააღმდეგობის } \text{კოეფიციენტი},$
 $i - \text{ქანობი } \text{მეთასედებში}.$

$s - \text{შებრუნებული } \text{ქანობის } \text{გზის } \text{მონაკვეთის } \text{სიგრძე } m$,

$$\text{აშინ } \frac{(G+Q)(V_1^2 - V_2^2)}{2g} = (G+Q)(f+i)s,$$

$$\text{აქედან } \frac{V_1^2 - V_2^2}{2g(f+i)} = (f+i)s$$

$$\text{და } S = \frac{V_1^2 - V_2^2}{2g(f+i)} m \dots \dots \dots \quad (61)$$

ამრიგად ჩვენ შეგვიძლია გამოვთვალოთ, სხვადასხვა ქანობების დროს რამდენი მეტრია გადლახვა შეუძლია მოტომატარებელს ცოცხალი ძალის

ბარჯზე, ან პირიქით, თუ არამე წინასწარი მოსაზრებით განვსაზღვრეთ, თუ კი მათ გორი სიგრძის იქნება შებრუნებული ქანობიანი გზის მონაკვეთი, მაშინ შევვიძლია გამოვთვალოთ თვით ქანობის სიდიდე, რომლის დაძლევაც შეიძლება ცოცხალი შალით:

$$t = \frac{V^2 - V_0^2}{2gs} - f \quad \dots \quad \dots \quad \dots \quad \dots \quad (62)$$

V_0 —სიღიდე უნდა იქნეს ამ ფარგლებში 25—30 კმ საათ. V —კი 5—10 კმ საათ.. საბოლოო სიჩქარის უფრო პატარა სიღიდე გამოიწვევს ძალიან დიდ შეწყლებას, რაც ჩვენის აზრით არ იქნება ხელსაყრელი, ვინაიდან შემდეგი წორმალური სიჩქარის მისაღწევად საჭირო იქნება დიდი აჩქარების დრო.

თუ კი გზის პროფილი შერჩეულია ამ რიგად, მაშინ ტვირთის სიღიდე შეიძლება იქნეს ნებისმიერი, ვინაიდან ტვირთისიდება თვითი ჩვენ არ ვიყენებთ წევის ძალას, არამედ მიემართავთ მუხრუჟებას.

აյ შეოლოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამუშაო მოედნის სიღიდე, დამტერთვი მექანიზმების რაოდენობა და წარმადობა, რომ აქედან შევარჩიოთ მისაბმელების ხელსაყრელი რაოდენობა. და რაღაც გვეცილება თეითოვეულ მისაბმელის ტვირთტევადობა, ადვილად გამოითვლება ტვირთის სიღიდეც.

ამ თვალსაზრისით შერჩეულ გზის პროფილზე, ცხადია, სათბობის ზარჯი დაყვანილი იქნება მინიმუმამდე.

ტვირთის არჩევას მთავან პირობებში (როდესაც ტვირთდენა გვაქვს ზევიდან ქვევით), სამუშაო მოედნის სიღიდეს იმისათვის უდებთ საფუძლად, რომ დიდი სამუშაო მოედნის მოწყობა მთაში ზოგჯერ მოუხერხებელია და ზოგჯერ მოითხოვს ძალიან დიდ სამუშაოებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხელსაყრელი პროფილის შერჩევა ყოველთვის არ იქნება მოსახრებებელი და მაშინ უნდა ვისელმძღვანელოთ ზევით მოყანილი სხვა მოსაზრებებით.

რაც შეეხება ცალკე გადასარჩენებზე სიჩქარების და გარმენის განსაზღვრას გრაფიკული მეთოდით, მათ აქ არ შეეხებით, ვინაიდან მოტომავლისითვის არავითარი ცვლილების შეტანა არ არის საჭირო. მეთოდი ისეთივე რჩება, როგორც ტრაქტორისათვის და ავტომობილისათვის.

საკითხის დასმის შესახებ.

რეინის გზა არის მასიური ტვირთების, მშრალი საგზაო ტრაქტორტის ყველაზე სრულქმნილი საშუალება.

რეინის გზებზე მოძრაობის წინააღმდეგობის კოეფიციენტი აღწევს 0,095-დან 0,010-მდე იმისდამისადევით, თუ როგორი გზის ნაგებობა გვაქვს, მაშინ როდესაც ტრაქტორებისათვის და ავტომობილებისათვის (იხილე ცარილი).

ტრაქტორებისათვის

აფტომობილებისათვის გამოყენება

გზა და მისი მდგრამარ.	მოძრაობის წინააღმდეგულებული		გზა და მისი მდგრამარ.	მოძრაობის წინააღმდეგულებული	
	თვლილი ტრაქტ.	შალგილი ტრაქტ.		ბალონი „კორდ“	პრეცენტი „კორდ“
კარგი გზატკეცილი . . .	0,02	0,05	კარგი გზატკეცილი . . .	0,022	0,016
მაგარი, კარგი ყაშ. გზა . . .	0,05	0,05	კარგი, მაგარი ყაშირის გზა	0,023	0,018
დამჯდარი ჩატული . . .	0,08—0,15	0,05—0,07	უდი ყაშირის გზა	0,03	0,022
ტალახიანი გზა . . .	0,15—0,20	0,07—0,10	ასუალტი	0,014	0,011
დაჭაობებული ყაშირი . . .	0,15—0,30	0,10—0,15			
თოვლიანი გზა . . .	0,02—0,30	0,05—0,10			

მაშინადამე, ტრაქტორი რომ შევაყენოთ ლიანდაგზე, გვექნება საშუალება რამდენიმეჯერ გავადიდოთ ტეიროთ სხვა გზებთან და სატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით.

გარდა ამისა, რეინის გზა იძლევა მთელი წლის განმავლობაში მუშაობის საშუალებას, რასაც ვადამშეუცემი მნიშვნელობა აქვს და დიდ გაფრცელებას ანიჭებს მასიური ტეიროთების ტრანსპორტისათვის.

მიუხედავად ამისა სოფლის მეურნეობაში რეინის გზებს არა აქვთ ფართო გაფრცელება. მათ ვავდებით სოფლის მეურნეობის მათლოდ ერთ დარგში, სატყუერნეობაში. მათ განვითარებას უმთავრესად ხელს უშესის:

- 1) ორთქლმავლების მაღალი ღირებულება (სიძეირე),
- 2) ორთქლმავლის წონა, რაც იწვევს სპეციალურ ნაგებობათა აშენების უკილებლობას, (მყარი—საფუძვლიანი ლიანდაგი, სპეციალური ხიდები და სხ.).
- 3) მოძრაობის მოუწევლობა,
- 4) მომსახურებელ პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და რაოდენობა.

ამ უკანასკნელ წლებში, ტყის ტრანსპორტის მექანიზაციის მიზნით, მეურნეობებში ტრაქტორთა რიცხვის გადიდებამ წამოაყენა საკითხი ტრაქტორების ლოკომოტივად გამოიყენებისა რეინის გზებზე. საკითხის ამგვარად დასმის მთავრი მიზეზი იყო სორველი, — მიეღოთ შეუბუქი და იაუგი ლოკომოტივი, რომელსაც არ დასჭირდება სპეციალური ღილი ნაგებობები, იქნებოდა ადგილად გამოსაყენებელი დროებითი ხასიათის ვიწრო ლიანდაგიან გზებზე და გახსაყუთრებით გადასატან რეინის გზებზე.

ამრიგად სიიავემ, სიმსუბუქემ, მოქნილობამ, ტიპების სხვადასხვაობამ, სამუშაოთ მუდამ მზად ყოფნამ, მოვლის სიმარტივემ და სხვა მრავალმა მიზეზებმა ასეთ ლოკომობილს შეუქმნეს ჩქარი განვითარების პირობები და მათ ეწოდათ მოტომავლები.

მოტომავლით წევა არის რაღაცა საშუალო ტრაქტორით და ორთქლმავლით წევის შორის; მასში გამოიყენებულია ორთქლმავლით წევის ყველა დალებითი მხარეები და ტრაქტორის სიმარტივე, სიმსუბუქე, სიიავე და სხ.



ოლსანიშნაერია მოტომავლით წევის დროს თვით ლიანდაგის სიმარტულე, მსუბუქი გადასატანი ჩეინის გზა), რომლის მოწყობაც ადვილია და სხვადასხვა მიმართულებით დაგებაც (რაც გამოწვეულია თვით მოტომავლის სიმსუბუქით). ჩვენ აქ არ შევეხმით ლიანდაგის მოწყობას, ვინაიდან ეს სპეციალური საკითხია და თან საქმაოდ კარგადაც არის დამუშავებული მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტრუმენტთან არსებულ საკელევო ინსტიტუტის მიერ.

თითქმის კელა მოტომავლები კეთდებიან ტრაქტორებიდან, რომლებსაც შეცვლილი აქვთ თვლები, წინაღორი და სავსებით მოხსნილი აქვთ საჭის მექანიზმი. მოტომავლისათვის არ არის საჭირო ნახევარლერები, ამიტომ შეტრანსლია ისეთი დამაგრება, რომ ორივე ნახევარლერი მუშაობს როგორც ერთი. მანქანა მთლიანად დაღვმული სპეციალურ ჩარჩოზე, რომლის დანიშნულებაც არის მთელი კონსტრუქციის შემაგრება და მოტომავლის წონის გადიდება ძრავის სიმძლავრის უკეთ გამოყენების მიზნით.

მოტომავლში მთელი წონის ჩაჭიდებისათვის გამოყენების მიზნით, ოთხივე თვალს აკეთებენ წამყვანათ, რაც მიღწეულია ხელმები წინა და უკანა თვლების ერთმანეთთან შეერთებით (ჯაჭვური გადაცემით ან სხვა რამე მექანიზმით).

უნდა აღინიშნოს ტრაქტორის მოტომავლად გადაკეთების სიმარტივე, რომელიც შეიძლება შესრულებული იქნეს მეურნეობაში საუთარი ძალებით. საჭირო იქნება მხოლოდ ფოლადის თვლების დაკვეთა ქარხანაში.

ამ ბოლო დროს მთელმა რიგმა ქარხნებმა დაიწყეს მოტომავლის გამოშვება ავტომობილ „ГАЗ“-ის, „АМО“-ვის, „Геркулес“-ის, „С.Т.З“-ს ძრავით და სხ. კელა ამ მოტომავლებში სიჩქარეები გადიდებულია წევის ძალის უკეთ გამოყენების მიზნით, თორებ ბზირად, ტრაქტორის გადაკეთების შემთხვევაში, წევის ძალა ძრავის მიხედვით აღემატება ჩაჭიდების ძალას და ადგილი აქვს სიმძლავრის გამოყენებლობას.

მოტომავლების გამოყენება ტყის ტრანსპორტისათვის დღითი-დღე იზრდება, აგრეთვე ზოგიერთ პირობებში ძალიან ხელსაყრელი იქნება მათი გამოყენება დიდ საბჭოთა მეურნეობებში მასიური ტვირთების საზიდავათ. მაგრამ ჯერჯერობით ამ სატრანსპორტო საშუალებას არ ექცევა სათანადო ყურადღება, რისი მიზეზიც არის მისი სათანადო შეუსწოვლელობა და სიახლე.

მოტომავლების რეზტაბელურად გამოყენებისათვის და ამათუმ პირობებში მისი ხელსაყრელობის დასამტკიცებლად საჭიროა საქალაოატაციო წევის ანგარიშის ჩატარება, რომელიც დღემდე ჩამოყალიბებული არ არის და მთელი ეს ნაშრომი ამ საკითხის გასაშუქებლად არის შედგენილი.

ლიტერატურის დახასულება.

Мак-кибен—Динамика и кинематика сельско-хозяйственного трактора.

1932 г. Ленингр. Инстит. механ. и электр.

Е. Д. Львов—Тракторы, конструкция и расчет. 1933 г.

Кишинский—Тракторные перевозки леса. 1933 г. Гослестхиздат.



- Пратанский и Сыромятников—Трактор в лесном хозяйстве. 1932 г.
Гослестехиздат.
- Невеский—Лесовозные железные дороги. 1934 г. Гослестехиздат.
- Мурзин—Лесовозные железные дороги. 1934 г. Гослестехиздат.
- Бабычков—Тяговые расчеты в эксплоатации железных дорог. 1931 г. Гострансиздат.
- Яковлев—Теория автомобиля. 1934 онти НКПТ
- Е. А. Флоров—Механическая тяга. 1935 Гослестехиздат.
- Флоров—Тяговые расчеты автомобилей для лесовозных дорог. 1933 Гослестехиздат.
- Е. А. Чудаков—Теория автомобиля 1935 г. онти НКПТ.
- Е. А. Чудаков—Тяговой расчет автомобиля. 1931 г. Гострансиздат.
- А. Я. Шор—Организация автомобильно-транспортного производства. 1934 г. Гострансиздат.
- Геллер—Курс автомобиля 1930 Госиздат.

З у б а с с ы д о

- 1) Авто-тракторное дело.
 - 2) Лесное хозяйство и лесоэксплоатация.
 - 3) Мотор.
-

ერთი საღომარიშო მროვის შესახებ

ა. ხუბუტია.— „Die Intensitätszonen der Landwirtschaft in Georgien“. ბერ-ლინი 1933 წელი გვ. 112.

დოკ. ხუბუტიას ეს წიგნი წარმოადგენს საღისერტაციო შრომის სას.-სამ. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსამარებლით. იგი, აეტორის განცხადებით, დაწერილია მის მიერ 1929/30 წლებში გერმანიაში. ამ შრომის საფუძველზე ბერლინის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სკოლის სენატმა ა. ხუბუტიას მიანიჭა სას. სამ. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო პიტლერის ხელისუფლებამ იგი გამოსცა 1933 წელს.

როგორც ქვემოდ მოყვანილი ფაქტები დაგვანახებს გერმანიის ფაშისტურები არ შემცდარან დოკ. ხუბუტიას ნაწარმოების გამოცემაში, რადგან წიგნი საესე-ბით აგებულია არქაბურუუაზიულ-ფაშისტურ მეთოდოლოგიურ პროცესებზე და წარმოადგენს ფაშისტური აგრარული თეორიისა და პოლიტიკის პროპაგანდას. ამასთან ერთად შრომი შეიცავს აშეარა ცილისწამებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაშასადამე, იგი იარაღია ფაშიზმისა და მენტევიზმის ხელში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლებელად.

დოკ. ხუბუტიას წიგნის გარევანი რეკლამა გვიჩვენებს, რომ აეტორი მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის ინტენსივობის ზონების გამორკვევას საქართველოში. თავის ნაშრომის შესავალში დოკ. ხუბუტია, გამოდის რა ბურუუაზიულ-მეცნიერთა მეთოდოლოგიდან ცდილობს გამოსაზღვროს ინტენსივობის პრობლემა. ამ განსაზღვრას იგი იძლევა გელროფის სიტყვებით — „ინტენსივობა არის ბუნებრივ-მეცნიერული სიდიდე (Grösse). დაჭიმულობის ხარისხი მცენარეთა და ცხოველთა წარმოების ორგანიულ პროცესში“ (იხ. დასახ. შრომა გვ. 8). ინტენსივობის ასეთი განმარტებით დოკ. ხუბუტია ბურუუაზიულ-ფაშისტური იდეოლოგებთან ერთად ცდილობს გამოშიგნოს კლასობრივი შინაარსი ინტენსივობის პრობლემიდან და დაიყვანოს ის ბუნებრივ-ტექნიკურ საკითხამდე. ყველასათვეს ცნობილია, რომ მარქსიზმის კლასიკოსები სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პრობლემას იხილავდნენ, როგორც სოფლად კაპიტალიზმის განვითარებისა და მის კლასობრივი სტრუქტურის პრობლემას.

დოკ. ხუბუტია იმეორებს რა დახასებულ ბურჯუაზიულ-ფაშისტურ იღებულოვების აზრს ამბობს, „ადამიანი არის თავის მიწის ნაკვეთის—განსაკუთრებით კი კლიმატის ნაყოფი, ამიტომ საქართველოს სოფლის მოხახლეობის პრინციალური ურთიერთობის (persönliche Verhältnisse) განხილვის დროს ჩვენ გამოდიდართ კლიმატიური პირობებისაგან“ (ხაზისმა ჩვენია).

ბუნებრივი პირობების გაღმერთების საფარ ქვეშ დოკ. ხუბუტია მის მასწავლებლებთან ერთად ცდილობს მიჩქმალოს კლასობრივი ექსპლატაცია სოფლად და გვერდი აურის საქართველოს სოფლის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის გაუგონარ ძარცვა-გლეჯას მემამულებისა და კაპიტალისტების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ამასთან ერთად წიგნის ავტორი იძლევა სოფლის მეურნეობის ინტენსივობის ზონების სავსებით ყალბ განლაგებას ბუნებრივი და კერძოთ კლიმატიური პირობების მიხედვით (იხ. გვ. 54, 78, 81, 85 და სხვ.).

დოკ. ხუბუტია თავის ნაშრომში იგივებს საწარმოო საშუალებების განვითარების ღონეს საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში ომაჟელთა ბატონობის დროს არსებულ საწარმოო საშუალებების ღონესთან. იგი ამბობს „სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებები საქართველოში ომაჟელთა ბატონობის შემდეგ მხოლოდ მცირეოდენათ შეიცვალა“-ო (იხ. გვ. 42 ხაზი ჩვენია). ჯერ ერთი, საწარმოო საშუალებების განვითარება მოწყვეტილია, საერთოდ საზოგადოებრივ და კერძოთ საწარმოო ძალების განვითარებისაგან, მეორეც—დოკ. ხუბუტია ცდილობს გაყალბოს ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გმირული ბრძოლა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კერძოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური საწარმოო ძალების განვითაბის ფრონტზე. ავტორი განაცრძობს—„ომისა და მისმა მომღერენო ანარქიაშ ქვეყანაში წარმოშვა უდიდესი ნაკლებობა უსაკიროესი სასოფლო-ამეურნეო მანქანების და იარაღების, რომელიც დღემდე არა ლიკვიდირებული, ამან განსაკუთრებით შეენელა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი“ (გვ. 43, ხაზი ჩვენია). მაშასადამე—დოკ. ხუბუტია სოციალ-ფაშისტებისა და ფაშისტებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საფუძველზე მომხდარ ძერებს აცადებს ანარქიად და სოფლის მეურნეობის დეგრადაციით, რომელიც თითქოს 1929/30 (მა შრომის დაწყის დროს) წლებშიაც კი გრძელდოდა, ცხადი ეს ფაშისტური ცილისწამებაა და სხვა არაფერი.

განაცრძობს რა ისტორიული ფაქტების გაყალბებას და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ცილისწამებას—ავტორი ამბობს, „რუსეთში მძინვარე სამოქალაქო ომის დროს საქართველოშ დრო იხელთა და თავისი დამოუკიდებლობა ოლადგინა. გამოცხადა დემოკრატიული რესტაბლივა, რომელიც *de facto de jure* იცნო არა მარტო მთელმა კულტურულმა მსოფლიომ, არამედ თვით რუსეთშიც, მაგრამ დამოცურდებულ დემოკრატიულ რესტაბლივას არ დასკალდა დიდი ხნის არსებობა (1918—1921), მარტში 1921 წელს აიღო რუსეთის წითელმა არმიამ ტფილისი, საქართველო გამოცხადებულ იქნა სოციალისტურ რესტაბლიკად და შეერთებულ იქნა საბჭოთა კავშირთან“ (გვ. 27, ხაზი ჩვენია). აქ ავტორი იმეორებს კულტურისა და სხვა სოციალ-ფაშისტების დემაგოგიას საქართ-

ცელის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულობის შესახებ — სინამდვირებულები, როგორც ცნობილია საქართველოში იყო არა დემოკრატიული და არა დამოუკიდებელი რესუბლიკა, არამედ შენშევიყების სახით ბურჯუაზისა და ბემამულების აღვირიასნილი დიქტატურა და შეოფლიო იმპერიალისტური ქვეყნების (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) თარეში, რომელთა ხელში მენშევიური დიქტატურა წარმოადგენდა პლატფორმის ოქტომბრის რევოლუციის წინამდებარების შემდეგ ბრძოლაში. მაგრამ დოკ. ხებუტია ამას არ სჯერდება, იგი ჰქადავებს შეოფლიო მენშევიზმისა და ფაშიზმის ცილისწამებას საქართველოს დაპყრობის შესახებ წითელი არმიის მიერ. სინამდვირები, საქართველოს პროლეტარები და ექსპლოატირებული გლეხობა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით განუწყვეტილ და გმირულ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიყებისა და მათი მფრიველი იმპერიალისტების წინააღმდეგ. სწორედ ამ ბრძოლამ საბჭოთა კავშირის მშრომელების ძმური დამარტინოთ დაამხო შენშევიყების დიქტატურა და იმპერიალიზმის თარეში საქართველოში.

წიგნის ავტორი არ სჯერდება ისტორიული ფაქტების გაყალბებას და ცდილობს დაასაბუთოს საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირთან სამეურნეო კავშირის გაწყვეტის აუცილებლობა, რაც თავის თავად მოასწავებს დასავლეთ იმპერიალისტურ ქვეყნებშე სამეურნეო და პოლიტიკური ორიგინტაციის იღების ქადაგებას.

დოკ. ხებუტია ისლავეს რა ხორბლეულ კულტურების განვითარების პერსპექტივებს საქართველოში, ამ დარგის ჩამორჩენილობის ერთ ძირითად მიზნებათ აცხადებს რუსეთის ხორბლეულ რაიონების კონკურენციას. იგი ამბობს, — „შენელოვან როლს თამაშობს აგრძელებ ჩრდილოეთ კავკასიისა და საერთოდ სამარეთ რუსეთის პურის რაიონების ძლიერი საკონკურენციო ბრძოლა, რომელიც მშობლიურ ხორბალს თითქმის მთლიანად სდევნის ქალაქებითაა“ (გვ. 69). მე-70 გვერდზე ავტორი განაგრძობს — „სამწევაროთ ამ შესაძლებლობათა (პურის შემოტანა საბჭოთა კავშირიდან რეცენზენტ.) გამოყენება ღებულობს ისეთ კალმარი ფორმებს, რომ რუსეთთან სამეურნეო პოლიტიკური ურთიერთობის თვალი გაუარესდა ამ მიმართულებით მიღწეულ ყველა გამარჯვებებს საკითხის ქვეშ აყენებს. ომისა და რევოლუციის განვილობა წლებმა მისცეს და აძლევენ ქვეყანას (საქართველოს ავტორები) ამ მარით, მართოლია ძლიერ შევავე, მაგრამ დამაჯურებელ და ნათელ გაევეთილს“ (ხაზი ჩევნია). იქნდან ცალია, რომ დოკ. ხებუტია საქართველოს სოფლის მეურნეობის კალექტივების განვითარების პერსპექტივას, ავებს საბჭოთა კავშირიდან ჩამოშორების საფუძველზე, რაც ნიშნავს შენშევიყების დიქტატურის პერიოდში არსებულ იმპერიალისტური ქვეყნების თარეშის აღდგნის ქადაგებას.

დოკ. ხებუტია საესებით პიტლერისგურად აცხადებს რა აღამიანს, თავისი ნაკვეთი მიწის და ფრძოთ კლიმატის შედეგათ (იბ. ზემოთ) ფიქრობს, რომ „თითეული ისტორიულად ჩამოყალბებული ნაცია თავის სამეურნეო ცხოვრებაში წარმოხახავს მის მიერ წარმოდგენილ რახს ძირითად ხასიათს“ (გვ. 51 ხაზი ჩევნია). სხვენგბული რასობრივი თეორიის საფუძველზე იხილავს ავტორი გლეხობის პერსონალურ (persönliche Verhältnisse) ურთიერთობებს და თვისებებს და აცხადებს უცხო ელემენტებათ საქართველოს სოფლის მეურნეობის დიქტატურის გადაგებას.

ბაში მოსაქმე სხვადასხვა ერებს „ისტორიულ განვითარების პროცესზე/ჰშ/ზონაში (კახეთი, ჩოხატავის მუნიციპალიტეტი), განაგრძოს ავტორი, თავი მოიყარა საქართველოს მინისტრის მიერ სახით სხვადასხვა ერების უცხო ელემენტებისა“ (გვ. 53 ხაზი ჩვენია). — ცხადია, ავტორი ცდილობს განვითაროს ზოოლოგიური შოვინიზმი ამ „უცხო“ ელემენტების წინააღმდეგ.

ჩვენ შეგვიძლია კიდევ დიდამს განვაგრძოთ დოკ. ხუბურტიას ასეთი ფაზისტური და სოციალ-უაშისტური დემულებების დეტალების განხილვა, მისი წიგნი „Die Intensitätszonen der Landwirtschaft in Georgien“ სწორეთ ასეთ დემულებების კრებულს წარმოადგენს, მაგრამ ვფიქრობთ მოყვანილი მასალაც საქმაოდ ცხადად ასაბუთებს დოკ. ხუბურტიას სსენებული შრომის ანტი-მარქსისტულ, ანტი-ლენინურ და აშეარა კონტრრევოლუციონურ ფაზისტურ ხასიათს. საქმე იმაშია, რომ დოკ. ხუბურტიამ არა მარტო დასწერა ეს ანტისაბჭოთა—ფაზისტური შრომა გერმანიაში 1929/30 წლებში და გამოაცემინა ის მიტლერის ხელისუფლებას 1933 წელს, არამედ ეს წიგნი წარმოადგინა სას.-სამ. ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიაში დოკტორის ხარისხის მოსახლეობლად.

სას., სამ. ინსტიტუტის დირექტორისა და პარტორგანიზაციის მიერ ამ შრომის დამუშავების პროცესში დოკ. ხუბურტია შეიცადა დაუცვა თავისი წიგნი და გაესაღებია ის, როგორც სრულიად მისაღები საბჭოთა შრომა.

ასე, მაგ.: საკვალიფიკაციო კომისიის სახელზე ა.წ. 23/X შემოიტანილ განცხადებაში დოკ. ხუბურტია ფიქრობს, რომ მის წიგნში არის მხოლოდ „ზოგიერთი არასრული და არასწორი ფორმულირებები და დეფექტები“. — იგივე დებულება დაიცვა მან მის შემდგომ გამოსცვლებში და განტაღებებში ამ წიგნის შესახებ, შეეცადა რა, დაუფარა ამ წიგნის აშეარა ანტისაბჭოთა—ფაზისტური ხასიათი.

ცხადია, სას. სამ. მეცნიერებათა ასეთი „დოკტორი“ მხოლოდ ფაზისტური გერმანიის პირობებს შეეცერება და მას არ შეიძლება ადგილი შექმნდეს საბჭოთა უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც ზრდის ბოლშევიკურ კადრებს სოციალისტური მშენებლობისათვის.

ან. ბუაჩიძე.

ი. ბაჯაძე.

ი. ჩახაძა.

**დირექციის 1935 წ. 20 დეკემბრის დაღვენილება ამ.
 პ. კანდელავის ნივნის „სასოფლო-სამეურნეო
 ეკონომიკა“-ს შესახებ. 112 გვ. გამოც. 1926 წ.**

ამ. ვ. კანდელავის წიგნი, რომელიც შეიცავს კომეტრაციის კურსებზე წა-
 კითხულ ლექციებს და გამოცემულია 1926 წელს, წარმოადგენს ბურუჟაზიულ და
 წვრილმურუჟაზიულ იდეოლოგთა მეთოდოლოგიის საფუძლებზე აგებულ შრო-
 მას; ამ მეთოდოლოგიის თვალსაზრისით იხილავს აეტორი სოფლის მეურნეობის
 ყველა ძირითად საკითხს.

სცნებული შრომის ბურუჟაზიული და წვრილმურუჟაზიული ხასიათი შეიძ-
 ლება ძირითად ისახოს ქვემოდ დასახელებულ პუნქტებში:

ა. წიგნში გაღმირთებულია ბუნებრივი პირობების როლი სოფლის მეურ-
 ნეობაში – „ბუნება არის ადამიანის სამეურნეო მოქმედების ასპარეზი, ამიტომ –
 ნათქვამია წიგნში – ბუნებრივ პირობებს და ძალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა
 აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემის ჩამოყალიბებისათვის“, (გვ. 10),
 „არ უნდა დაეიციწყოთ მხოლოდ ის, რომ უმთავრესი და ძირითადი პირობები
 სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის – ბუნებრივი პირობებია“
 (გვ. 17), ან-და – „თვით ბუნებრივი პირობები თუ იცვლება, ასეთი ცვლილებე-
 ბის მიზეზი ადამიანის ძალისა და შრომის გარეშეა“ (გვ. 16, ასევე გვ. 92 და
 სხვა); ცალია, ეს დემულებები წარმოადგენს არქი-მურუჟაზიულ თეორეტიკოსე-
 ბის შეხედულებათა დაცვას და პოპულარიზაციას.

ბ. წიგნი იცავს ბურუჟაზიულ თეორეტიკოსთა შეხედულებას, თითქოს
 „სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის უპირველესად დამიახსიათებელი და არ-
 სებითი ის არის, რომ ბუნების ძალთა საშუალებით ანალ პროდუქტს ქმნის“
 (გვ. 3, ხაზგასმა აეტორისაა). ამით სოფლის მეურნეობა გამოცხადებულია ძი-
 რითად წამყვან დარგით და სათანადოთ უარყოფილია ინდუსტრიის წამყვანი და
 გადამწყვეტი როლი მთელ სახალხო მეურნეობაში და კერძოთ სოფლის მეურ-
 ნეობის მიმართ. წიგნში აგრძელებულ უარყოფილია სოფლის მეურნეობაში მექანი-
 ზაციის შესაძლებლობა (გვ. 5 და სხ.) და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპე-
 ციალიზაცია (გვ. 4 და სხ.).



გ. წიგნში საქებით გვერდავლილია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ხაკონხები და გაყალბებულია ინდუსტრიის როლი ხოლო ხოლო რამდენად იგი დაუვანილია მხოლოდ გადამუშავებითი მრეწველობის განვითარების ხაკონხებით.

დ. ნაშრომი იცავს არქიტექტურუაზოულ უფაქტორების თეორიას“ (მიწა, სამუშაო ძალა და კაპიტალი) და თოთეულ ფაქტორს იხილავს ბურეუაზიულ და წერილბურეუაზიულ იდეოლოგების თვალსახრისით, ასე:

1) ავტორი იზიარებს მიწაზე კერძო საქუთრების წარმოშობის ბურეუაზიულ თეორიას (გვ. 20), აცხადებს მას ღირებულების მქონე კატეგორიათ, (გვ. 21), საკუთრივი აუალბებს რენტას, ოფიციელს რა მას მოწის ბურებრივ ნაყოფიერებასთან. ამასთან ერთად საკუთრივი აცხადებს კლებადი ნაყოფიერების კანონის მიუღებლობას.

2. მოსახლეობის განაიღვა ხდება კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე, როგორც მხოლოდ მომხმარებლის და სამუშაო ძალის მიმწოდებლის, და საქებით ყალბათაა ანალიზირებული აგრალური კარბი მოსახლეობის რომბა.

3. ყალბათაა განაიღვული აგრეთვე კაპიტალის რაობა სოფლის მეურნეობაში. ბურეუაზიულ ეკონომისტებთან ერთად აუტორი კაპიტალის იხილავს მისი კლასობრივი არხის გარეშე; საქებით გამოშვებულია მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის საკითხი; ძირითადი და საბრუნვაო კაპიტალი განაიღვულია ანტიმარქისტული. ამასთან ერთად ნაშრომში, ჩაიანვითა და სხვა ბურეუაზიულ მავნებლურ ეკონომისტების მსგავსად, აღიარებულია წვრილი გლეხური მეურნეობის მეტი უნარიანობა ნიადაგის გაუმჯობესების საქმეში, მსხვილ კაპიტალის ტურ მეურნეობასთან შედარებით (გვ. 49).

ე. ბაზრის პრიობლემები განაიღვულია ჩაიანვითა, ჩაკაროვითა და ს. არქიტექტურუაზიულ-მავნებლურ ეკონომისტების მეთოდოლოგიის საფუძველზე. ეკონომიური ზრდა-განვითარების, ტექნიკის გაუმჯობესებისა და მეურნეობის ინტენსიურიაციის ძირითად პრინციპად გამოცადებულია „არსებობისათვის ბრძოლა“ (გვ. 57); სრულებით ყალბათაა წარმოდგენილი სასაქონლო კაპიტალისტური მეურნეობის ბუნება. ქიბეობა გამოცადებულია კაპიტალისტური მეურნეობის რეგულირობათ (გვ. 62), ხოლო საბჭოთა ეკონომიკაში „მაკრატელი“ აღიარებულია პროლეტარიატის დიქტატურის ირჩაღათ, რომლის დაუფლება სახალხო მეურნეობის მიზანშეწონილი რეგულიაციით გათანაბრებულია სოციალიზმის ცნებასთან (გვ. 62).

ვ. საბჭოთა ეკონომ. პოლიტიკისაგან გამოშეიგნულია კლასობრივი შინაარსი და მისი განსხვავება კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომ. პოლიტიკისაგან დაყანილია სახელმწიფოს სპეციალური ორგანიზების მიერ სახალხო მეურნეობის რეგულირით (გვ. 67); აგრარული პოლიტიკიდან გამოყოფილია,

რაღაც „აგრონომიული პოლიტიკა“ (გვ. 67), ხოლო 89 გვერდზე კომპეტურაციის საშუალებით განხოგადოებული მეურნეობა გამოცხადებულია სოციალიზმის საფუძვლად. სახელმწიფო ყალბათა გაგებული წინათ არსებული აგრარული ჭარბი მოსახლეობის რაობა საბჭოთა კავშირში (გვ. 71).

3) ნაშრომი იცავს და პოპულარიზაციას უშვება მავნებლების (ჩაინოვკონდრატევის და სხვ.) და სოციალ-ფაზისტების შეხედულებას სოფლის მეურნეობაში წვრილი წარმოების უპირატესობის შესახებ მსხვილ წარმოებასთან შედარებით. „საგლეხო მეურნეობა ფასების კრიზის უძლებს“ (გვ. 64). „წვრილი მეურნეობის უპირატესობა უმთავრესად მუშახელის მეტ ნაყოფიერებაშია“. და „იქ პროდუქტის მეტი სიაფა, ვინაიდან წვრილი მეურნეობა არ დაექცეს მოგებას“ (გვ. 97), აქედან გამოსული, აეტორი ამტკიცებს, რომ „საწარმოო კაპიტალი მეტად ფრთხილად და ნელის ტემპით იქრება სოფლის მეურნეობაში“ (გვ. 99), ეს დებულებები მოასწავებს მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრების უარყოფას სოფლად კაპიტალიზმის განვითარებისა და წარმოების კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის შესახებ.

გარდა ამისა აეტორის მარივ ერთად-ერთ მისააღებ შეხედულებათ აღიარებულია ბურეუაზიულ იდეოლოგთა შეხედულება გლეხურ მეურნეობის რაობისა და მეურნეობის ფორმათა წარმოშობისა და კლასიფიკაციის შესახებ. (გვ. 96). ასევე წიგნი აპოპულიარიზებს მავნებლების შეხედულებას საერთო და წმინდა შემოსავლის შესახებ (გვ. 99). წიგნი სავსებით მავნებლური თვალსაზრისით იხილავს სოფლის მეურნეობის ინტენსივობის საკითხს და იცავს იმ დებულებებს, რომ თითქოს წვრილი მეურნეობა უფრო ინტენსიურია მსხვილ მეურნეობასთან შედარებით (გვ. 80).

4) ნაშრომში დაცულია მავნებლების კულაკური თეორია გლეხურ მეურნეობათ კომპერისტების შესახებ. აეტორი, იხილავს რა წვრილ მეურნეობაში მიწის დაქუცმაცების უარყოფით მარებებს, იძლევა დასკვნას, რომ „ოპტიმალ, ე. ი. საკუეთესო ფორმად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის უნდა ჩაითვალოს წვრილი საშრომო მეურნეობა კოლექტივურად გაერთიანებული“ (გვ. 98).

ეს დებულება აშერა ჩაინოვური დებულებაა, რომლის მიხედვით ჩაინოვი და მავნებელთა მთელი ხროვა ცდილობდა გაეყალებებინა კომპერაცია და გადაექცია იგი კულაკობის ხელში ლარიბ-საშუალო გლეხთა ექსპლოატაციის იარაღად.

5) ნაშრომში გაიგივებულია ნაყოფცვლითი სისტემა თესლთაბრუნვასთან და სიტყვა (par) თარგმნილია, როგორც „ორთქლოვენი“ (გვ. 86) და სხვ.

გამოსული ზემოხსენებული დებულებებიდან დირექცია აღნიშნავს, რომ ამა. ვ. კანდელაკის წიგნი „სასოფლო-სამეურნეო ექონომია“, როგორც 1926 წლის პირობების, ისე ახლანდელ პირობებისათვის წარმოადგენს ანტიმარქისის-



ତୁଲ୍ଲ-ଅନତିଳୁଙ୍କିନ୍ଦ୍ର ନାଶିମିଶ ଓ ପାଲିଗୁଡ଼ିକୁଣ୍ଡାଇ ନାହିଁଥିବି ମିଳିଲୁହେଲୁ ବିଗନ୍ଦେ; ଅମିଟ୍ରମି ଗୁଗି ପ୍ରକାଶିଲୁହ ଉଚ୍ଚଦା ନୈନ୍ଦେ ଓ ଅରସେମୁଣ୍ଡି ପ୍ରକାଶିମିଲିବାରେବି ଅମିଲେପୁଣି ବିବାହିବିପାଇବାକୁ।

ამშ. ვ. კანდელაკქა დაუშვეა აგრეთვე ის პოლიტიკური შეცდომაც, რომ ამ უკანასკნელ ხანებამდე მან თვით არ გამოამტებავნა თავის ნაშრომის ბურჯუაზიული და წერილობურეულისული ხასიათი. მეგრამ ამასთან ერთად დირექცია აღნიშნავს, რომ ვ. კანდელაკქა გულშრეფელად აღიარა თავისი ნაშრომის ანტიმარქსისტულადუნილენინური ხასიათი და გაძრიტიყა ის.

დაევალოს ამ. ვ. კანდელაქ გაამატებილოს ლექციებში ყურადღება თავისი ნაშრომის ანტიბარექსისტულ-ანტილენინური ხასიათის მიმრთ და დამუშავოს თავის ჯგუფებში დირექციისა და პარტორგანიზაციის დაღვენილება ამწიგნის შესახებ.

၁၅၈. ၁၅၉. ၁၆၀. ဝင်ဆောင်ဖွံ့ဖြိုးစုစုပေါင်း ၂၀၂၄၁၁၃၇၀၁။

საქ. სას. საგ. ინსტიტუტის დირექციის 1936 წ.
25 თებერვლის დაღისილება პროც. გაჩეჩილაშის
წიგნის „მაცეორილობის“ უსახედ გამოც. 1931 წ.
გვ. 518.

აღნიშნული შრომა წარმოადგენს ძირითადათ კომპოლიატურ წიგნს და მოწოდებულია ემსახუროს, როგორც მეტეოროლოგიის სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებლებს.

ნაშრომი ვერ სდგას იმ სიმაღლეზე, რომელიც მოეთხოვება დღეს სოციალისტურ მშენებლობის მიერ მეტეოროლოგიის სახელმძღვანელოს. მაგრამ არა მარტო დღეს, არამედ გამოცემის დროისთვისაც კი შრომა შეიცავს შეტადუხეზ მეთოდოლოგიურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ შეცდომებს. ძირითადი ამ შეცდომებისაგან შემდეგია:

1) ნაშრომი აგებულია მექანისტურ მეთოდოლოგიის საფუძველზე, იგი აღმერთებს ბუნებრივ პირობების როლს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და უგულებელყოფს წარმოების წესის გამსაზღვრელ მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

აგრორის აზრით „ჰავა საზღვრავს შეცნარეთა და ცხოველთა გავრცელებას დედა მიწაზე“. ის ქმნის ახალს და ხპიბს ძელ რასებს“ გვ. 9 (აზი ჩვენია). ეს დებულება აშკარა მექანისტურია და იგი ამავე დროს უარყოფს აღამიანთა აქტიურ ზემოქმედებას ბუნების ძალებზე და მათ გამოყენებას.

2) ავტორი აცხადებს, რომ „სხვადასხვა სახის აეადმყოფობათა განვითარება მჭიდროთა დაკავშირებული კლიმატიურ პირობებთან. ისინი აღნიშნავენ ამინდის გავლენას სულით დაავადებაზე. გვიჩვენებენ თვითმკვლელობათა რიცხვის დამოკიდებულებას წელიწადის დროისაგან „თვითმკვლელობათა maximum-ი ზაფხულზე მოდის გვ. 8 (აზი ჩვენია). აქ მოცემულია საცემით ყალბი დებულება სოციალური მოვლენების კლიმატიური პირობებით ახსნის შესახებ, რაც ძრსებითად მოასწავებს კლასობრივი ბრძოლის უგულებელყოფას.

3) იმავე მე-9 გვ. ძელიად ინდოეთში თხელი ქსოვილების განვითარება ახსნილია სინოტივით, რაც ცხადია მოასწავებს უხეში გეოგრაფიული მატერიალიზმის დაცვას.

4) წიგნი ცდილობს დაასაბუთოს, რომ „სინოტივ ტემპერატურა, ატმოსფეროს წნევა და სხვა წმინდა ფიზიოლოგიური გავლენას ახდენს აღამიანზე“, რითაც ახსნილია თბილი ქვეყნების აღამიანთა სიზანტე და სხვა. ხოლო შემდეგ

ნაშრომში ჰავისადმი შეხამებით ხსნის რასების ფერებს „ჩალხთან გადასტურებას“ რასების ფერი ჰავისადმი შეხამების პროცესით არის გამოწვეული“ გვ. 9.

ვ) 42 გვერდზე ნათქვამია „ჩვენ ვხედავთ, რომ უფრო მაღალ საფეხურებები მდგომი ცხოველები იყვებებიან უფრო დაბალი საფეხურის ცხოველებით“. ეს დებულება აშკარად ეწინააღმდეგება მეცნიერული მიოლოგის ელემენტარულ დებულებას.

2. შრომაში სოფლის მეურნეობის წარმოებაში გადამწყვერი როლი მიუთვნებული აქვს ბუნებირივ პირობებს და კერძოს ჰავას. „განა შესაძლებელია რომელიმე განსაზღვრულ კულტურების შეჩერება, ბამბის, სელის და სხ. თუ მეტეოროლოგიას არ დავყრდნობით? განა მიწის მუშის ყოველი ნაბიჯი ამინდის პირობებში არ არის დამოკიდებული?“ გვ. 10. „სას. სამ. ხასიათის ვერც ერთი ღონისძიება ვერ განხორციელდება თუ მას კლიმატური ბაზა არ უდევს“. ცხადია ეს დებულება აშკარად გამომდინარებს ავტორის მექანისტური მეთოდოლოგიდან და იგი ფაქტურად ანიარაღებს ადამიანს ბუნების ძალების წინაღმდეგ ბრძოლაში და მისი გამოყენებისათვის. ამისი და ასეთ „თეორიათა“ ცოცხალ უარყოფას ჩვენი სოციალისტური შენებლობის პრაქტიკა წარმოადგენს. აროლეტარისტის დიქტატურა თავისი ხელმძღვანელ პარტიით ბუნების ძალებს უშოალოდ უმორჩილებს სოციალიზმის შენებისა და აშენების ამოცანებს. ცხადია, ბუნების ძალების შესწავლა აუცილებელია, მაგრამ არა მიმისათვის, რომ ბუნებას პასიურად შევეგუროთ, არამედ იმისათვის, რომ ბუნების ძალები გამოვიყენოთ და ისინი ჩვენს ამოცანებს ვამსახუროთ.

3. ნაშრომში სრულებით არა პრაქტიკულად დაყენებული საკითხები მეტეოროლოგიის მნიშვნელობის შესახებ სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის, აგრეთვე საესპით უგულებელყოფილია ის ისტორიაში არ ნახული პერსპექტივები, რომელიც გაეხსნა მეტეოროლოგიის განვითარებას და მის გეგმიურ გამოყენებას სოფლის მეურნეობის სოცეკომსტრუქციის საფუძველზე.

4. წიგნში 288, 89 და 90 გვერდზე აღწერილია ამერიკაში მეტეოროლოგიურ დაქვირვებათა ორგანიზაცია, იგი გამოცხადებულია მსოფლიოში სანიმუშოთ და თითქმის ერთ სიტყვათაც არა ნათქვამი იმ უდიდესი მიღწევების შესახებ, რომელიც ამ დარგში ქვემდა ჯერ კიდევ წიგნის დაწერისა და გამოცემის დროს საბჭოთა კავშირს, რომლის მსგავსი არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ მოეპოვება.

5. წიგნში მოცემული გასაღა უაღრესად მოძველებულია და საესეა ტექნიკური ლიცესუსებით. გასში სრულებით არა მოცემული ის შედეგები, რომელიც ჯერ კიდევ წიგნის დაწერის დროს იყო ატმოსფერის და სტრატოსფერის დაპყრობის და ამ ბრძოლის მნიშვნელობა მეტეოროლოგიისათვის. ცხადია წიგნში არაფერი არა ნათქვამი უკანასკნელი მიღწევების ირგვლივ ამ საკითხებზე.

სსენებული პუნქტები აშეარად ლაპარაკობს მასზე, რომ ეს შრომა აგებულია მექანისტური მეთოდოლოგიის საფუძველზე, მასში დაშვებულია უხეში პოლიტიკური შეცდომები და მისი ფაქტური მასალაც საფსებით მოძევლებულია განსაკუთრებით თანამედროვე პირობებისათვის; ამიტომ იგი არ შეიძლება გამოდგეს სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ალინიშვნოს, რომ ავტორმა—პროფ. ივ. გაჩეჩილაძემ თავის განცხადებაში სასწავლო ნაწილის სახელზე სცნო ძირითადად მითითებული შეცდომები.

დაევალოს ფიზიკის კათედრის ა/წლის 29/IV შეადგინოს ქონქრეტული გეგმა სათანადო სახელმძღვანელოს თარგმნის ან ორიგინალის გამოშვების შესახებ ქართულ ენაზე და წარმოადგინოს ის სასწავლო ნაწილში.

კათედრამ დამუშაოს ჯგუფებში ის შეცდომები, რომელიც დაშვებულია მითითებულ წიგნში.

საქ. სას. სამ. ინსტიტუტის დირექტორი: ბუჩქიძე.

ს ა რ ჩ ე პ ი

	83.
1. ი. სტალინი—სიტყვა მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა თათბირზე 1935 წ. 1 დეკემბერს	3
2. ██████████—ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარ- ჯვება. საქ. საბჭოთა ხელისუფლების ორსებობის 15 წლის თავისათვეს	11
3. ი. ბაჯაძე—სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის კადრების აღწერდა ორდენოსან სოციალისტურ საქართველოს 15 წლისთავეზე	29
4. 6. ხომიაურავილი—მანდარინის ჯიშის „უნიტ-მიკანის“ ვეგეტა- ტური მუტანტი	41
5. ლ. პალანდაძე და რ. სავენაოვი—ზოგიერთი მონაცემები ველის ფარ- გინის (<i>Loxostege sticticalis L.</i>) შესახებ საქართველოს პი- რობებში 1933 წ.	48
6. 3. ღვალაძე—ქარვის მეცნიერების როლი ილქომოლური დულილის ბალანსში	67
7. 6. ხომიაურავილი—საყვავილე კვირტების ჩასახვისა და განვითა- რების თეორიის შესახებ	84
8. 6. ღვალი—მოტომავლის წევის ანგარიშის მეთოდი	91

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

9. ან. გუაჩიძე, ი. ბაჯაძე, ი. ჩახაძე—ერთი საღოქტოორო შრომის შესახებ	115
10. ღირექციის 1935 წ. 20 დეკემბრის დადგენილება ამს. ვ. კანდელაკის წიგნის „სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა“-ს შესახებ	119
11. საქ. სას. სამ. ინსტიტუტის ღირექციის 1936 წ. 25 თებერვლის დად- გენილება პროფ. გაჩეჩილაძის წიგნის „მეტეოროლოგიის“ შესახებ	123

ОГЛАВЛЕНИЕ CONTENTS

	Стр.
1. И. СТАЛИН—Речь На совещании передовых Комбайнеров и комбайнерок	3
2.—Победа ленинско-сталинской национальной политики к 15-летию Советской Власти в Грузии	11
3. И. БАДЖАДЗЕ—Воспитание кадров для социалистического сель.-хозяйства к 15 годовщине орденоносной социалистической Грузии	29
4. Н. ХОМЕЗУРАШВИЛИ—Вегетативный мутант мандарина „Уншу-микан“	45
<i>N. M. KHOMEZURASHVILLI—On a vegetative mutant of unshu-mikan.</i>	47
5. Л. КАЛАНДАДЗЕ и Р. САВЕНКО—Некоторые данные к изучению лугового мотылька (<i>Loxostexe Sticticalis L.</i>) в условиях Грузии в 1933 г.	51
<i>L. KALANDADZE and SAVENKO—Certain data referring to the study of Loxostexe sticticalis L. In the S. S. R. of Georgia in 1933.</i>	66
6. В. ГВАЛАДЗЕ—Роль янтарной кислоты в балансе алкогольного брожения	67
<i>V. GVALADZE—Du role de l'acide succinique dans la fermentation alcoolique.</i>	82
7. Н. ХОМЕЗУРАШВИЛИ—О теории закладывания и развития цветочных почек	84
8. Р. ДВАЛИ—Метод тягового расчета на мотоходах	91

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ:

9. По поводу одного докторского труда	115
10. Постановление Дирекции С. Х. Института о книге тов. Канделаки: „Экономия С. хозяйства“	119
11. Постановление Дирекции С. Х. Института о книге проф. И. Гачечиладзе: „Метеорология“	123

ସାହେଜାପଣୀ କମଲାଚାରୀ

ବନ୍ଦୋ. ୧୯. ପତ୍ରାଳୀ (୩/୩୧. ନେଇପ୍ରକାଶନରେ), ବନ୍ଦୋ. ୫. ମୁଦ୍ରଣକାରୀ, ବନ୍ଦୋ.
୧. ପ୍ରକାଶନକାରୀ, ବନ୍ଦୋ. କମଲାଚାରୀପଣୀ, ଲୋକ. ୧. ପାଞ୍ଚାମି, ବନ୍ଦୋ. ୩. ଅମ୍ବାଖୀପଣୀ,
ଲୋକାଳୀପଣୀ, ବନ୍ଦୋ. ୬. କାଷାପାଲାପଣୀ, ବନ୍ଦୋ. ୭. କମଲାଚାରୀପଣୀ, ଲୋକ. ୧. ମୁଦ୍ରଣକାରୀ,
ଲୋକ. ୧. ପାଞ୍ଚାମି ଲୋକ. ୨. କମଲାଚାରୀପଣୀ.

